ქართულ მენეჯმენტში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ნაადრევია საუბარი სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკის პრობლემების ჯეროვან დონეზე გადაწყვეტის თაობაზე. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებშიც შეიმჩნევა ბოლო პერიოდში საქმის წარმოების არაეთიკური პრაქტიკის გაფართოების შემთხვევები. მენეჯერები ამის მიზეზად ასახელებენ: კონკურენტული ბრძოლის გამწვავებას; ეთიკური

ქცევისათვის მენეჯერთა არასათანადო გასამრჯელოთი უზრუნველყოფას; ეთიკის მნიშვნელობის შემცირებას საზოგადოებაში და სხვა.

მენეჯერების და რიგითი მუშაკების ეთიკურობის ამაღლება ბევრად დამოკიდებულია თანამედროვე ადამიანური რესურსების მართვაზე. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ეთიკური ნორმატივების დამუშავებას, ეთიკის კომიტეტის (კომისიების) შექმნას, სოციალური რევიზიების ჩატარებას, და ეთიკური ქცევის სწავლებას.

ეთიკური ნორმატივები წარმოადგენენ ზოგად ფასეულობათა სისტემას და ეთიკის წესებს, რომლებიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობის აზრით უნდა დაიცვან მისმა მუშაკებმა. ეთიკური ნორმატივები მუშავდება ორგანიზაციის მიზნების აღწერის, ნორმალური ეთიკური ატმოსფეროს შექმნისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ეთიკური რეკომენდაციების განსაზღვრისათვის. ქცევის ვარიანტებს, რომლებიც ჩვეულებრივად იკრძალება ეთიკური ნორმატივებით, მიეკუთვნება: ქრთამი, გამოძალვა, საჩუქრები, კონფლიქტი ინტერესთა შეჯახების ნიადაგზე, კანონების დარღვევა, ფირმის საიდუმლოებათა გაცემა და სხვა. ადამიანურ სრესურსებთან მიმართებაში მრავალფეროვნულ ორგანიზაციაში კომპანი-ინიციატორმა უნდა გაითვალისწინოს მიღებული დამოკიდებულება სხვა კულტურებში ქრთამისა და საჩუქრებისადმი.

ორგანიზაციები ქმნიან ეთიკის თვალსაზრისით მუდმივმოქმედ კომიტეტებს (კომისიებს) ყოველდღიური პრაქტიკის შეფასებისათვის. ასეთი კომიტეტების თითქმის ყველა წევრი უმაღლესი დონის მენეჯერია. ზოგიერთი ორგანიზაცია არ ქმნის ასეთ კომიტეტს, მაგრამ ქირაობს ეთიკის სპეციალისტს, რომელსაც ეწოდება ეთიკის ადვოკატი. ეთიკის ადვოკატის ფუნქციაა ეთიკურ საკითხებზე დასკვნის შემუშავება, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციის მოქმედებებთან, აგრეთვე ორგანიზაციის „სოციალური სინდისის“ ფუნქციის შესრულება.

სოციალური რევიზიების ამოცანაა ორგანიზაციის მოქმედებების და პროგრამების სოციალური გავლენის შესახებ ანგარიშგების შედგენა და შეფასება. სოციალური რევიზიის მომხრეები ვარაუდობენ, რომ ასეთი ტიპის ანგარიშგება იძლევა სრულ წარმოდგენას ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობის დონის შესახებ.

მენეჯერებისა და რიგითი მუშაკების ეთიკური ქცევის წესების სწავლება კიდევ ერთი მიდგომაა, რომელსაც იყენებენ ორგანიზაციები ქცევის ეთიკურობის მანვენებელთა ამადლებისათვის. მუშაკებს აცნობენ ეთიკას და ამადლებენ მათ ცოდნას ეთიკურ პრობლემებზე, რომლებიც შეიძლება მათ წინაშე წარმოიშვას. ეთიკის როგორც საგნის შემოტანა სწავლების კურსებში უნივერსიტეტის დონეზე ეთიკური ქცევის სწავლების კიდევ ერთი ფორმაა.

თანამედროვე ადამიანური რესურსების მართვა იძლევა შესადლებლობას ორგანიზაციებმა აამადლონ თავიანთი ეთიკური სტანდარტები, რათა წარმატებით განახორციელონ მრავალფეროვანი ამოცანები სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში.

ლიტერატურა

References:

1. zumburiZe o. menejmentis safuZvlebi. Tbilisi 2008.
2. SublaZe g., mRebriSvili b., wowkolauri f. menejmentis safuZvlebi. Tbilisi 2008.
3. armstrongi m. adamiანიური resursebis marTva. 1977

Tamar Bachilava, Genagi Iashvili

Ethic Problems in Human Resorses Management in Modern Condition

Summary

Human resorses management is logic and strategic connection to the most priceless asset of the company – working personnel, who separately or together work to achieve goals for organisation.

The goal oh human resorses management is people employment, development, encouragement and also to maintain relationship between management team and working group. The goal is to ensure working process, which helps achive mutual goal to give organisation opportunity to receive and keep efficient and stimulated emploies, mainten atmosphere for productive and harmonic relationship between management group and emploies. Also management group must take to consideration ethic norms for people's interest, justice and transparency.

Modern human resorses gives organisations opportunity to improve ethic standards which helps to sucessfully achive goal in social responsibility field.

Keywords: legislative system, ethic system, frees choice system.

Reviewer: Professor Giorgi Bagaturia, Georgian Technical University

Тамар Бачилава, Геннадий Яшвили

Этические проблемы в управление человеческими ресурсами в современных условиях

Резюме

Управление человеческими ресурсами является стратегическим и логичным отношением к самым ценным капиталам организации, т.е. к работникам, которые отдельно и в месте трудятся для осуществления целей производства.

Задача управления человеческими ресурсами это занятость людей в организациях и их развитие, поощрение и также улаживание отношений между управлением и рабочей силой. Его цель заключается в обеспечении процесса управления, что способствует достижению общих целей, дать возможность организации привлекать и удерживать высококвалифицированных и стимулированных сил, создать плодотворные и гармоничные отношения между руководством и работниками, а также атмосферу доверия. Также руководство персоналом должно усвоить те этические нормы, которые основаны на интересах человека, справедливость и прозрачность.

Современное управление человеческими ресурсами позволяет организациям повысить свои этические стандарты, для успешной реализации различных задач в области социальной ответственности.

Ключевы слова: правовая система, этическая система, система свободного выбора.

Рецензент: Профессор Георгий Багатурия, Грузинский технический университет.

УДК 35.353.9

Николай Орлов, Татьяна Евтушенко
НА ЗАМЕТКУ ЛИДЕРАМ ДЕМОКРАТИЧЕСКИХ
ГОСУДАРСТВ: ИЗ ОПЫТА ВОЕННОЙ АГРЕССИИ
РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ ПРОТИВ УКРАИНЫ

На основе анализа законодательной базы и событий военного характера на Донбассе обоснованы проблемные вопросы, на которые необходимо обратить внимание лидерам демократических государств, во избежание серьезной угрозы распространения терроризма на Европейские и Азиатские государств–соседи Российской Федерации

Ключевые слова: *военная агрессия, лидеры демократических государств, проблемные вопросы, международный терроризм*

Постановка проблемы в общем виде и ее связь с важнейшими научными и практическими задачами

Фактически война на Донбассе – одном из регионов Украины идет более полугода. С одной стороны государство Украина применяет наличные силы, чтобы обеспечить решение спорных вопросов мирных путем, а с другой – террористы, поддерживаемые Российской Федерацией (РФ) пытается решить вопрос отделения этого региона из состава Украины с дальнейшим размещением военных баз РФ и таким образом отодвинуть свои границы на запад. Просматривается желание высшего руководства РФ стать лидерами, определяющими новый миропорядок.

В общем виде, то, что изложено выше отмечалось учеными и практиками в различных сферах [3–6] и в связи с этим возникла проблема сохранения мира не только в отдельной стране – Украине, а и в Европе и Азии.

На наш взгляд, в такой ситуации лидеры демократических государств должны взять на себя полную ответственность за судьбы стран и народов перед международным терроризмом и теми государствами, которые им помогают.

Цель статьи (постановка задачи)

Целью статьи есть, на основе анализа реальных фактов, обратить внимание лидеров демократических государств, которые должны взять на себя полную ответственность за судьбы стран и народов перед международным терроризмом и теми государствами, которые им помогают.

Изложение основного материала

История человечества знает много международных организаций, которые дают рекомендации лидерам государств как избежать военных столкновений и неоправданных жертв людей. Так, в уставе Организации Объединённых Наций (ООН), созданной в 1945 г., в составе более 190 государств, отмечено, что это международная организация, созданная для поддержания и укрепления международного мира и безопасности, развития сотрудничества между государствами.

Второй такой организацией есть Совет Безопасности, как международная организация, который несёт главную ответственность за поддержание международного мира и безопасности, его решениям обязаны подчиняться все члены ООН. Пять постоянных членов Совета Безопасности (Российская Федерация, США, Великобритания, Франция, Китай) обладают правом вето.

Особую роль в Европе отведено Организация безопасности и сотрудничества в Европе, где заложены руководящие принципы поведения в сфере военно-политических аспектов безопасности, куда включены обязанности с демократического контроля над вооружёнными силами и их применения.

К сожалению, за последнее время некоторые страны, которые считают себя сверхдержавами, позволяют нарушать основополагающие положения международных организаций. Исходя из данных событий на Донбассе (Украина), к таким странам можно отнести РФ [5].

Еще в 2004 г. в работе[1] отмечалось, что современная Россия находится в поиске своего места в мировом сообществе. Новые реалии состояния этой страны в изменившейся системе международных отношений требуют переосмысления многих устоявшихся приоритетов ее внутренней и внешней политики, а также всестороннего комплексного анализа новых геополитических возможностей России. Следует заметить, что таких возможностей проявилась в 2014 г. – аннексией Крыма и всесторонней поддержкой сепаратистов на Донбассе Украины. Просматривается попытка высшего руководства РФ сохранить глобальный характер российской политики и влияние на устоявшийся мировой порядок после Второй мировой войны.

Можно согласиться с тем, что глобальный характер российской политики и влияние на устоявшийся мировой порядок состоит в планомерном поглощении отдельных территорий государств-соседей РФ. В подтверждении этого следует вспомнить высказывания, которое

так часто упоминают некоторые российские политики «там, где заканчивается русский язык, там заканчивается Россия».

На наш взгляд, идя по пути реализации, далеко идущих планов России не учтено что:

- мир стал другим, это не период семинедельной войны между Пруссией и Австрией (1866 г) [2] и даже не 1939 г., когда высшее политическое руководство ряда Европейских стран не вмешивалось в агрессивные планы и действия А. Гитлера [3];

- за годы независимости народ, который проживает в Украине, стал другим – люди больше не хотят возвращаться в Новый СССР, под названием Таможенный союз (кое-кто его называет Тайожный союз);

- как не старались за годы независимости некоторые руководители государства Украина уничтожить Армию, военную промышленность, подорвать патриотическую веру украинцев, жизнь показала, что за период весны, лета и осени 2014 г. многое было восстановлен, в том числе за счет сил и средств волонтеров и простых граждан Украины.

Кроме того, не было учтено, что возможные санкции против страны организатора войны будут так ощутимы и это может привести не только к ее изоляции в мире, а и возможному революционному взрыву внутри страны.

Как показывает анализ, реализация плана поглощения Украины РФ началась задолго до аннексии Крыма. Еще в 2009 г. в работе [4] и как считает Борис Рожин в работе «Политика России в Донбассе: США на шаг впереди», политика Кремля в вопросах гражданской войны на Украине всегда носила двойственный и ситуативный характер. Свержение Януковича вынудило Россию перейти к более активной политике на украинском направлении. В тоже время не было учтено, что приписанные украинскому народу различного рода ярлыки такие как бандеровцы, пособники хунты, предатели, карательный отряд Айдар и др. сплотило общество и по данным приведенным в работе [4], большинство украинцев (72–85 %) поддерживают независимость Украины. Это свидетельствует о том, что:

- хотя за годы независимости не все слои населения были охвачены патриотическим духом, большинство людей разбираются в той сложной военно-политической ситуации, которая сложилась на Украине за последнее время;

- Украину так просто поставить на колени, а это означает, что затраченные деньки на войну с Украиной «выброшенные на ветер», а сотни убитых и покалеченных российских солдат будут не одно десятилетие напоминать россиянам о нынешних правителях страны.

Как показывают развитие событий на Донбассе, высшему руководству РФ не удалось запугать Украину и Запад, а попытка расколоть Евросоюз потерпела полный крах.

Еще в 2009 г. в работе [4] отмечалось, что риторика руководства РФ против Украины становится все больше агрессивной. После событий вокруг острова Тузла у 2003 г, было почти официально заявлено о территориальных претензиях к Украине. В недалеком прошлом руководители высших органов власти РФ называли Украину «малой Россией», как часть России. Следует напомнить, что в позднем периоде Средних веков название «Малая Русь» означала «настоящая, коренная Русь», в отличие от подвластных этой Руси территории, среди которых было и Залесья, как тогда называли территорию современной Центральной части России [4].

Вместе с тем, хочется обратить внимание на исследования, проведенное Павлом Сатиным [6], в котором автор утверждает, что может возникнуть ситуация, когда Китай заявит определенные претензии на Дальневосточный регион РФ, Эстония на Северо-западный регион РФ, а США на Камчатку, Чукотку и Сибирь. В такой ситуации Великая Россия распадется на отдельные несколько отдельных республик: Западнороссийская, Казацкая, Поволжская, Уральская, Западносибирская, Дальневосточная и Демократическая республика Саха и др.

Как говорит народная мудрость: «Посеешь ветер – получишь бурю».

Таким образом, подводя итог изложенному, можно предложить лидерам демократических государств обратить внимание на такие проблемные вопросы:

1. Как отмечалось в работе [5] проект Малороссия закрыт. Нет денег, чтобы кормить пенсионеров Донбасса и бюджетников. В. Путин демонстративно отказался встречаться с лидерами ДНР и ЛНР в ноябре 2014 г. не только потому, что боится новых санкций Запада, но и потому что сказать нечего. Денег нет, чтобы содержать 4 млн человек. Да, оружие поставлять РФ будет боевикам, провокации на территории Украины будут, незаконно отправлять военных в Донецк будут, а содержать огромный регион – нет. В связи с этим, возникает масса вопросов:

- кто будет восстанавливать инфраструктуру Донбасса;
- за какие средства будет построено жилье лицам, которые переселились с Крыма и Донбасса в другие регионы Украины (таких лиц на 1.11.2014 г. насчитывается более 500 тыс.);

– как быть з уничтоженным бизнесом украинских граждан в Крыму и на Донбассе;

– какие дипломы и аттестаты будут выдавать выпускникам в 2015 г. на территории временно подконтрольной сепаратистами и российскими войсками.

– где выпускнику высших учебных заведений будут проходить практик (например, студенты Харьковской педагогической академии проходят практику в школах г. Харькова).

Таким образом, мы столкнулись з ситуацией, когда организаторы войны на Украине породили, сколько бед, сколько даже А. Гитлер и не планировал. Если представить ситуацию, что все обиженные подадут иски в международные суды, то они будут продолжаться не одно десятилетие. Так не проще начать одно судебное расследование – против организаторов аннексии Крыма и войны на Донбассе? Так или иначе этим надо будет заниматься тем государствам, которые стремятся удержать человечество от начало новой мировой войны.

2. Как известно, история человечества знает немало глупейших поводов для начала войны [7]. В каждом конкретном случае необходимо во главу угла ставить судьбы людей разного возраста и к каким результатам амбиции некоторых руководителей государственной власти может привести.

Так сейчас на Донбассе сотни учащихся прекратили полностью или временного обучение, пенсионеры на подконтрольных боевиками территорий не получают месяцами пенсию (проведенный опрос 12 ноября 2014 г. телевизионным каналом ISTV, подтвердил поддержку решения Кабинета Министров Украины о приостановлении выплаты пенсий на указанных территориях 87 % – 3А).

3. На поточный момент, как отмечали 12 ноября 2014 г. участники телевизионной передачи Shusterlive, на занятых террористами территориях орудуют до 70 главарей различных организаций, которые действуют самостоятельно и фактически никому не подчинены, в том числе и военному командованию Вооруженных Сил РФ, которое возглавляет примерно 7–8 тысяч военнослужащих. На руках особ этих организаций насчитывается тысячи единиц вооружения, в том числе и тяжелого (танки, артиллерийские системы, а в будущем может быть и российское вооружение з ядерным боезапасом). Возникает вопрос: куда этивооруженных до зубов людей могут направить оружие? Куда они пойдут, на какие страны, с какой целью?

Всем известно, что преступник, узнав запах крови – до конца жизни будет убивать.

В связи с этим: какова роль демократических государств по предотвращению этого неуправляемого процесса?

4. О том, что на Донбассе идет война уже всем давно стало понятно. Дополнительным подтверждение этого можно считать краткий доклад Министр Обороны Украины на заседании Кабинета Министров Украины 12 ноября 2014 г. о необходимости готовиться к боевым действиям. Там, где война – там, в результате разрушений может быть нарушена экология и тогда призывы Президента США о усилении борьбы с парниковым эффектом будет несоизмеримо малыми по сравнению с затопленными шахтами Донбасс, не дай бог террористическими актами на объектах энергетики, химической промышленности и т.д.

На наш взгляд, эти проблемы волнуют все слои населения Украины и Мира: и стар и млад надеяться, что лидеры демократических государств сумеют в ближайшее время обуздать агрессию против Украины и не допустить начало новой мировой войны.

Выводы с данного исследования и перспективы научной работы в этом направлении

Направлением дальнейшего исследования может быть необходимость изменения порядка и подходов патриотического воспитания молодежи и военнослужащих силовых структур в Украине путем введения в учебных заведениях преподавателей-священников и соответственно капелланов.

Литература

References:

1. Квашнина А. В. Геополитические проблемы и возможности их решения в контексте обеспечения безопасности России [Текст] /А. В. Квашнин. Военная безопасность Российской Федерации в XXI веке. Сборник научных статей. Под общей редакцией Квашнина А.В. – М: ГШ ВС РФ, 2004. – С. 8–24.
2. Бузина Ольга. Самая короткая война [Текст] /О. Бузина. События недели: итоги и факты. № 38 (172) от 16.09.2014 г. – С. 12.
3. Бадрак В. В. Стратегия злых гениев: Антология деструктивных мотиваций. [Текст] / В. В. Бадрак. – Х. : Фолио, 2010 – С. 240–250.
4. ЦеговГороховский. Війна Росії проти України ще ближче. [Електронний ресурс] – Режим доступу :www.pravda.com.ua
5. Агрессия России против Украины. [Электронный ресурс] – Режим доступа:

http://censor.net.ua/news/310758/vot_tak_besslavno_zakanchivaetsya_krov_avaya_avantura_putina_protiv_bratskogo_naroda_nemtsov

6. Павел Сатин. Россию постигнет судьба СССР. [Текст] / П. Сатин. Это планеты № 4 от января 2014 г. – С. 5.

7. Вера Потопаева. Глупейшие поводы для войны [Текст] / В. Потапова. Аргументы недели № 28 (296) от 10.06.2014. – С. 12.

Рецензент: Профессор Степан Свораკ, доктор исторических наук, кандидат юридических наук, академик свободного университета (г. Мюнхен). Начальника факультета Харьковского университета внутренних дел Украины

ნიკოლოზ ორლოვი, ტატიანა ევტუშენკო
სამახსოვრო დემოკრატიული ქვეყნების ლიდერებისათვის:
უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის სამხედრო
აგრესიის გამოცდილებიდან

რეზიუმე

საკანონმდებლო ბაზისა და დონბასის სამხედრო ხასიათის მოვლენების ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია პრობლემური საკითხები, რომლებსაც აუცილებლად უნდა მიაქციონ ყურადღება დემოკრატიული სახელმწიფოების ლიდერებმა, რათა თავიდან აიცილონ ტერორიზმის გავრცელების სერიოზული საფრთხე რუსეთის ფედერაციის ევროპულ და აზიურ მეზობელ სახელმწიფოებზე.

საკვანძო სიტყვები: სამხედრო აგრესია, დემოკრატიული ქვეყნების ლიდერები, პრობლემური საკითხები, საერთაშორისო ტერორიზმი.

რეცენზენტი: პროფესორი სტეფანე სვორაკი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, მიუნჰენის თავისუფალი უნივერსიტეტის აკადემიკოსი, ხარკოვის უკრაინის შინაგან საქმეთა უნივერსიტეტის ფაკულტეტის უფროსი

Nikolai Orlov, Tatiana Yevtushenko

**NOTE LEADER OF THE DEMOCRATIC STATES: THE
EXPERIENCE OF THE RUSSIAN FEDERATION MILITARY
AGGRESSION AGAINST UKRAINE**

Summary

Based on the analysis of legislation and military events in the Donbas proved problematic issues that need to pay attention to the leaders of democratic nations, in order to avoid a serious threat of terrorism in the European and Asian countries – neighbors of the Russian Federation

Keywords: military aggression, the leaders of democratic states, problematic issues, international terrorism

Reviewer: Professor Stepan Svorak, Doctor of Historical Sciences, PhD of Jurisprudence, Academician of the Free University (Munich) Head of the Faculty of Kharkov University of Internal Affairs of Ukraine Stepan Svorak.

ბენიკ კაიშაური
მოქალაქეთა როლი და ადგილი ადგილობრივ
თვითმმართველობაში

საქართველოს კონსტიტუციურ პრინციპსა და ნორმას წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოში ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს საქართველოს მოქალაქეები აწესრიგებენ.

სამწუხაროდ, რეალურად არ ხორციელდება ეს ნორმა, ანუ არ ხდება მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც აზიანებს: მოქალაქეების ინტერესებს; ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას და სახელმწიფოში დემოკრატიის დამკვიდრებას.

ნაშრომი ეძღვნება ამ პრობლემის წარმოჩენასა და მოგვარებას.

ნაშრომში წარმოდგენილია როგორც კვლევა აღნიშნული პრობლემის ირგვლივ, ასევე მოცემულია ავტორის მოსაზრებები, თუ რა ქმედებებმა უნდა უზრუნველყოს ხსენებული ხარვეზის გამოსწორება.

აქცენტი გადატანილია, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ნებასა და აქტივობებზე ადგილობრივი დემოკრატიისა და კონკრეტულად, – სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის ხელის შეწყობის თვალსაზრისით და მეორე მხრივ, – მოქალაქეებში საჯარო – სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარების თვალსაზრისით, სადაც ასევე სახელმწიფომ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, უნდა განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები ჭეშმარიტი დემოკრატიისა და მოქალაქეთა ძალაუფლების დასამკვიდრებლად.

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი თვითმმართველობა, მოქალაქეთა ადგილი და როლი.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ: „თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით“. [1]

ამ კონსტიტუციურ ნორმაში ორი რამ არის მნიშვნელოვანი: ერთი ის, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეების მოწესრიგებაში პრიორიტეტი ენიჭება ადგილობრივ თვითმმართველობას და მეორეც – ადგილობრივი თვითმმართველობა არის უფლება და შესაძლებლობა საქართველოს მოქალაქეებისა.

ვინაიდან სწორედ აქ ჩნდება მმართველობითი ხარვეზები, გვინდა გავიმეოროთ და ხაზგასმით ავღნიშნოთ: ეს არ არის უფლება თვითმმართველი ორგანოებისა;

ეს არ არის უფლება თანამდებობის პირებისა, არამედ – ადგილობრივი თვითმმართველობა არის უფლება მოქალაქეებისა და არა უბრალოდ მოქალაქეებისა, არამედ, – საქართველოს მოქალაქეებისა.

რაკი უფლება ვახსენეთ, ისიც უნდა განვმარტოთ, რომ მთელი ევროპულ ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობა ადამიანის უფლებათა ნუსხაშია მოხსენიებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებში აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ ნებისმიერ ადგილობრივ მცხოვრებს, მათ შორის უცხოელებსა და მოქალაქეობის არ მქონე პირებსაც.

საქართველოს კონსტიტუციამ ეს პოლიტიკური უფლება არ ასახა ადამიანთა უფლებებში, არამედ დააფიქსირა, როგორც მოქალაქის უფლება.

სხვათა შორის, „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას“ 2012 წლის ივნისში დაემატა ოქმი „მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ“ რომლის საჭიროება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ „თანამედროვე დემოკრატიას, სხვა ფასეულობებთან ერთად, გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობას“. [2]

საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მონაწილეობა არის ის დემოკრატიული პრინციპი, რომელსაც ყველა წევრი სახელმწიფო აღიარებს, თუმცა საქართველო ვერ შეუერთდა აღნიშნული ოქმის დათქმას 4.2 მუხლში დაფიქსირებული ნორმის გამო, რომლის თანახმადაც წევრ სახელმწიფოებს უნდა მიეღოთ კანონი, რითაც „ცნობს სხვა ადამიანის უფლებას, მიიღოს მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში“ ოცენ ეწინააღმდეგებოდა ჩვენს კონსტიტუციასა და არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ინტერესებს, რის გამოც

საქართველოს ხელისუფლება ვერ დაუშვებს ადგილობრივ თვითმმართველობის საქმიანობაში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა ჩართულობას.

თუმცა, პარადოქსული მდგომარეობა იმაში გამოიხატება, რომ თვით საქართველოს მოქალაქეც არ არის ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში.

ეს ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის უზრუნველყოფილი მოქალაქეთა რეალური მონაწილეობა სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმიანობაში, ხაზს უსვამს იმ პოლიტიკურ გარემოებას, რომ საქართველოში ხალხის სუვერენიტეტი, როგორც კონსტიტუციური პრინციპი, ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე დაცული და რეალიზებული.

თავისთავად ცხადია, რომ თუ საქართველოში თვითმმართველობა არის ადგილობრივ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლება, მაშასადამე, მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს ამ მოქალაქეთა ინტერესები, მათ შორის, ადგილობრივ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაში მათი აქტიური ჩართულობის თვალსაზრისით.

მაგრამ, რა უნდა გაკეთდეს, როცა ამ უფლების გამოყენებისადმი ინტერესი არ არის მოქალაქეთა მხრიდან?

რა თქმა უნდა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აკისრიათ ვალდებულება, – ხელი შეუწყონ მოქალაქეთა ჩართულობას, მაგრამ ამ ვალდებულების აღსრულებაზე კონტროლი დღის წესრიგში დგება მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოქალაქე გადაწყვეტს ისრგებლოს შესაბამისი უფლებით.

ფაქტია, რომ დგას პრობლემა: მოქალაქეთა პასიურობა და დაბალი საჯარო ინტერესები. მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრა ხელისუფლების ოცნებ იც უნდა იყოს.

ხელისუფლება უნდა მიხედეს, რომ ძალაუფლება მაშინაა მყარი და მაშინაა მართვა ეფექტური, როცა პასუხისმგებლობა მრავალ მოქალაქეებსზე გადანაწილებული.

ხელისუფლება, თუ მას დემოკრატიულობის პრეტენზია გააჩნია, უნდა შეეცადოს – საზოგადოებრივი ჯგუფები ჩართოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

დემოკრატიის დონე ხომ ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად რეალიზებულია ადამიანისა და მოქალაქის უფლებები საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმიანობაში; რამდენად განვითარებულია საზოგადოებაში კრიტიკული აზროვნების ოცენ; რამდენად აპრობირებულია ინფორმაციის

მიღების, ანალიზისა და შეფასების ოცენ და ბოლოს, რამდენად აქვს საზოგადოებას პრობლემების გადაწყვეტის ოცენ და შესაძლებლობა.

სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება; ინიცირება და ხელის შეწყობა ისეთი პროექტების განხორციელებისა, რომელიც ხელს შეუწყობს მოქალაქისა და ხელისუფლებას შორის დაკარგული ნდობის აღდგენას და მოქალაქეებში საჯარო ინტერესების გაღვივებას.

„საერთო საჯარო ინტერესების ჩამოყალიბების გარეშე, მოსახლეობისთვის ნაკლებად საინტერესო თვითმმართველობის მიერ მიღებული ის გადაწყვეტილებები, რომელიც მიმართულია თვითმმართველი ერთეულის წინაშე არსებული საერთო პრობლემების გადასაწყვეტად.

ამ გადაწყვეტილებათა შეფასებას მოსახლეობა ახდენს იმის მიხედვით, თუ რამდენად უკავშირდება მიღებული გადაწყვეტილება მის კონკრეტულ და კერძო პრობლემების მოგვარებას“. [3]

გარდა იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობას არა აქვთ საჯარო-სახელმწიფოებრივი აზროვნება, ისინი ფიქრობენ, რომ მათი ყველა პრობლემა უნდა გადაჭრას ცენტრალურმა ან ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით 2013 წელს არასამთავრობო ორგანიზაციამ „სიდ“ ჩაატარა კვლევა საქართველოს სოფლებში, გამოკითხა 1500 რესპოდენტი და გამოავლინა შემდეგი გარემოებები:

– გამოკითხულთა 34% თვლიდა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას არანაირი გავლენა არა აქვს მათ ცხოვრებაზე;

– 40,1% ადგილობრივ ხელისუფლებას აკისრებდა სრულ პასუხისმგებლობას ყველა ადგილობრივ პრობლემებზე;

– მხოლოდ 14% მიმართავს სოფლის რწმუნებულს და 11% გამგეობას;

– მიმართვის მიზანი და სფერო არის მხოლოდ კერძო ინტერესები;

– 51% თვლიდა, რომ მუნიციპალიტეტის რესურსების განაწილება ხდება უსამართლოდ;

– 88% მიიჩნევდა, რომ მათთვის უცნობი იყო ინფორმაცია თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ. (4)

საბოლოო ჯამში, მოქალაქეთა პასიური ჩართულობის ძირითადი წყარო რომ ვეძებოთ, უთოოდ მივაღწეოთ ინფორმირებულობის დაბალი დონის პრობლემამდე.

კვლევის შედეგებმა ისიც აჩვენეს, რომ მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომ საინფორმაციო საშუალებებით არ შექმნება თვითმმართველი ორგანოების საქმიანობა.

გამოიკვეთა, რომ საკრებულოების სხდომებზე მოქალაქეთა არ დასწრებას ძირითადად განაპირობებს წინასწარ არ ცოდნა იმისა, თუ რა დროს რა საკითხები იხილება საკრებულოში.

თუ მაინც არის ინფორმაცია თვითმმართველობის მიმდინარე საქმიანობაზე, იგი არის მშრალი, უინტერესო, არაანალიტიკური, რის გამოც მოქალაქეებს არ ან ვერ მიეწოდება სათანადო ცოდნა და მოტივაცია.

ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირების და საკრებულოს წევრების მხრიდან ანგარიშგების სისტემის ჩამოუყალიბებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი ორგანული კანონით ზემოთ ხსენებული პირები ვალდებული არიან გაწეული საქმიანობის შესახებ პერიოდულად წარმოადგინონ და ჩააბარონ ანგარიში მოსახლეობას, – ანგარიშგების ფორმამ მაინც ვერ მიიღო სისტემატიური და ეფექტური ხასიათი.

ხშირად ასეთი ანგარიშგება არის ფორმალური და მეტწილად წარმოდგენილია წერილობითი სახით, რაც ასევე ხარვეზია, რადგან მოქალაქეებთან უშუალო შეხვედრის გარეშე ანგარიშგება გამორიცხავს მეტად მნიშვნელოვან უკუკავშირს, პრობლემების გააზრებას, კითხვებზე პასუხის გაცემას და ა.შ.

რა თქმა უნდა, ანგარიშგებასაც მაშინ აქვს აზრი და შედეგი, როცა მოსახლეობა მობილიზებულია კონტროლისთვის, როცა საზოგადოება არა მარტო მოისმენს, არამედ დაიხსომებს წინა საარჩევნო დაპირებებს და შემდეგში პერიოდულად შეახსენებს არჩეულ ხელისუფლებას ამ დაპირებათა შესრულების აუცილებლობას.

აქამდე გამოუყენებლობის გამო, მკვდარ ნორმად და უფლებად უნდა მივიჩნიოთ ორგანულ კანონში დაფიქსირებული უფლება მოქალაქეებისა, – პეტციის წესით წარადგინონ მოთხოვნა საკრებულოში.

მოქალაქეთა აქტიური ჩართულობისთვის „საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული

წარმომადგენლები გადამზადებულ იქნენ ჩართულობის საკითხთან დაკავშირებით, რადგან სწორედ წარმომადგენლები არიან ის პირველი საფეხურის ადამიანები, ვისთანაც მოქალაქეებს აქვთ უშუალო შეხება და ურთიერთობა“. [5]

მოქალაქეთა ჩართვისთვის საჭიროა ორმხრივი კომუნიკაციის გაუმჯობესება, რომელშიც ზემოთ ხსენებული წარმომადგენლების გარდა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სოციალურმა ქსელებმა; თვითმმართველობების ვებ. გვერდებმა; ფორუმმა, რომელიც ასევე შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა ფორმით, მათ შორის სოციალური ქსელის მეშვეობით და იგი იქნება საშუალება, მოქალაქეებმა დააფიქსირონ თვითი მოსაზრებები და პრობლემები.

აქვე უნდა აღინიშნოს რამოდენიმე საიმედო ფაქტი და გარემოება, რომლებიც ადასტურებენ ერთი მხრივ, მოქალაქეთა მზადყოფნას სამოქალაქო ჩართულობის თვალსაზრისით და მეორე მხრივ, ხელისუფლების მცდელობებსა და ძვრებს ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ერთ-ერთი ასეთი იმედის მომცემი საქმიანობა არის სოფლის მხარდამჭერი პროგრამა, რომელიც მთლიანად დაფუძნებულია მოქალაქეთა მონაწილეობაზე და მათ მიერ ხდება პროგრამით სოფლისთვის გამოყოფილი თანხის მიზნობრიობის განსაზღვრა.

ასევე მისასაღმებელია „მოსახლეობის ფორუმი“ რომელიც ქალაქ ქუთაისის მერიის თაოსნობით შეიქმნა და ფუნქციონირებს 2014 წლიდან.

„ფორუმის შეხვედრებზე, რომელშიც მონაწილეობს 100 სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე ადამიანი, სისტემატურად ესწრებიან ქუთაისის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე. ხოლო ფორუმის მიზანია – მოსახლეობის მხრიდან მიმდინარე აქტუალური საკითხებისა და პრობლემების დაფიქსირება, ბიუჯეტში ასახვა და ამ პრობლემების გადაჭრაში, ანუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა აქტიური ჩართვა“. [6]

შეიძლება ითქვას, რომ „მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დემოკრატიული მმართველობის საფუძველია“. [7]

რა თქმა უნდა ზემოთ ხსენებული და მსგავსი თითო – ოროლა იმედის მომცემი ქმედებები „გაზაფხულს ვერ მოიყვანს“ მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ შეიმჩნევა

წინსვლა მოქალაქეთა არ მონაწილეობიდან – მონაწილეობისკენ.

მეცნიერ-მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მოქალაქეთა მონაწილეობა სამ ეტაპად იყოფა, რომელთაგან ყველაზე დაბალი დონეა – არმონაწილეობა, როცა მოსახლეობა ინერტულია და ხელისუფლებაც ადვილად მანიპულირებს მასზე;

მეორე დონეს წარმოადგენს იმიტაცია, ანუ ჩანაცვლება, როცა მოქალაქეს ეძლევა აზრის გამოთქმის საშუალება, მაგრამ ვერ იღებს მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

მესამე, ანუ უმაღლესი დონე კი მოქალაქეთა ძალაუფლებაა, როცა მოქალაქეს უფლება და საშუალება აქვს ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და იქონიოს ზემოქმედება გადაწყვეტილებაზე. [7]

ჯერჯერობით საქართველოში მოქალაქეთა მონაწილეობა იმიტაციის დონის ჩანასახშია. ეს ესაა გამოვიარეთ ხელისუფლებისგან მანიპულირების ეტაპი და იმედი გვაქვს, რომ მივალწევთ ჩართულობის უმაღლეს დონეს – მოქალაქის ძალაუფლებას, როცა სახეზე იქნება რეალური პარტნიორობა ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის;

როცა ხელისუფლება და მოქალაქეები ერთობლივად მიიღებენ გადაწყვეტილებებს და ერთობლივად გაინაწილებენ პასუხისმგებლობას;

როცა მოქალაქეები შეძლებენ აქტიურად გააკონტროლონ ხელისუფლების ორგანოები და მიაღწიონ რეალურ ცვლილებებს საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის სასიკეთოდ.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ მოქალაქის როლი და ადგილი ადგილობრივ თვითმმართველობაში მეტად მნიშვნელოვანია და უნდა განისაზღვრებოდეს მოქალაქის ძალაუფლების მაღალი დონით.

როდესაც და რამდენადაც საქართველომ აირჩია ლიბერალური დემოკრატიის გზა, მან ამით იკისრა მისია საყოველთაო კეთილდღეობაზე დაფუძნებული სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისა. ამ დროს კი ქვეყნის წინაშე მნიშვნელოვან ამოცანად დგება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება. ხოლო იმისთვის, რომ დემოკრატია მოჩვენებითი არ იყოს, ხელისუფლებამ კი არ უნდა მართოს, არამედ უნდა არეგულიროს სამოქალაქო

საზოგადოება. ხელისუფლებამ მსახურად კი არ უნდა გაიხადოს მოქალაქე, არამედ თვითონ უნდა იყოს მსახური თავისი ამომრჩევლისა.

და ბოლოს, რამდენადაც დემოკრატია „ყველასთვის ღია შეჯიბრს წარმადგენს“ უნდა ვიგულისხმოთ, რომ დემოკრატიის, მით უფრო ადგილობრივი დემოკრატიის ძირითად კრიტერიუმთა შორის მთავარია მოქალაქეთა ეფექტური ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ლიტერატურა

References:

1. saqrTvelos konstitucia. Tbilisi 2014.
2. s.a.T.e.a –is sainformacio biuleteni. #5.2012.
www.nala.ge.
3. s.a.T.e.a –is sainformacio biuleteni. #6 .2012.
www.nala.ge
4. soflis saWiroebis kvleva. Tbilisi 2013 w.
5. s.a.T.e.a. – is sainformacio biuleteni. #3 .2012.
www.nala.ge.
6. gazeTi „iverioni“- 24 oqtomberi 2014.
7. s.a.T.e.a.–is sainformacio biuleteni #12 .2012.
www.nala.ge.

Besik Kaishauri

The Role and Place of Citizens in the Local Government

Summary

The constitutional principles and norms of Georgia is the fact that the citizens of Georgia regulating the matters of local importance.

Unfortunately, this norm is not performed actually, that does not happen active citizen participation in the local decision-making process, what damages: the interests of citizens; Development of In local self-government and to establishing democracy in the state.

This work is dedicated to exposing and solving this problem.

In this work is presented as a survey of this problem, also given author's opinions of what actions should be ensure to rectify the mentioned defect.

The emphasis is focused on the one hand, the will and activities of the state in local democracy and, in particular, - for promote the development

of civil society and on the other hand, - in terms of development the public – state thinking in the citizens, where also the state with the non-governmental organizations should be implement the effective measures for establish true democracy and citizen power.

Keywords: local government, the role and place of citizens.

Reviewer: Professor Giorgi Bagaturia, Georgian Technical University

Бесик Кайшаури

Роль и место граждан в местном самоуправлении

Резюме

Конституционным принципом и нормой Грузии является то обстоятельство, что в Грузии дела местного значения решают граждане Грузии.

К сожалению, в реальности эта норма не осуществляется, то есть нет активного подключения граждан к принятию решений местного значения, что наносит вред интересам граждан, препятствует развитию местного самоуправления и упрочению государственной демократии.

Настоящий труд посвящается выявлению и решению этой проблемы. В труде представлены как исследования, проводимые по указанной проблеме, так и доводы автора о том, какие действенные меры обеспечат устранение указанных недостатков.

Акцент переносится с одной стороны на волю и активность государства, на содействие формированию местной демократии и конкретно,- гражданского общества, а с другой – на развитие у граждан общественного, государственного мышления, при чем государство вместе с неправительственными организациями должны осуществлять действенные меры для утверждения истинной демократии и власти граждан.

Ключевые слова: местное самоуправление, роль и место граждан.

Рецензент: Профессор Георгий Багатурия, Грузинский технический университет.

ნათია გოცაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნები, ფუნქციები
და ამოცანები საჯარო მმართველობაში

საზოგადოებასთან ურთიერთობა სახელმწიფოს მართვის აუცილებელი ფუნქციაა დემოკრატიული წყობის პირობებში. სახელმწიფო სტრუქტურებში პროფესიულად გამართული საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის არსებობა არის ქვეყანაში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა, რადგან ის უზრუნველყოფს მოქალაქეების ჩართულობას მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესში.

საზოგადოებასთან ურთიერთობა საჯარო მმართველობაში თავის ბუნებით სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივი აზრის მართვა, განხორციელებული არა იძულების, არამედ ინტერესთა თანხვედრის ნიადაგზე. ხოლო მის უმთავრეს დანიშნულებას წარმოადგენს ხელისუფლების კომუნიკაციური პოტენციალის, როგორც სახელისუფლებო პოლიტიკის გატარების რესურსის გამოყენების მექანიზმის დარეგულირება.

წინამდებარე სტატიაში აღწერილია სახელმწიფო სტრუქტურებში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ძირითადი მიზნები, ფუნქციები და ამოცანები. გამოკვეთილია მისი როლი და მნიშვნელობა, როგორც საზოგადოების სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის მუდმივად საჭირო და ღირებულ, რომელიც თავისთავად წარმოადგენს დაგეგმილ და უწყვეტ ძალისხმევას, მიმართულს დაინტერესებულ პირებს შორის კეთილსასურველი ურთიერთობების და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაზე.

საკვანძო სიტყვები: საზოგადოებასთან ურთიერთობა, საჯარო მმართველობა, სამოქალაქო საზოგადოება, დემოკრატიზაცია.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში განხორციელებულმა კარდინალურმა ცვლილებებმა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე. დღეს ქვეყანაში მიმდინარეობს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესი. დაიწყო ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის თვისობრივად ახალი ტიპის ურთიერთობების ჩამოყალიბების ეტაპი.

სახელმწიფოს დამოკიდებულება სამოქალაქო საზოგადოების მიმართ, ყველაზე თვალსაჩინოდ მის საინფორმაციო-საკომუნიკაციო პოლიტიკაში ვლინდება. თანამედროვე სამყაროში, როდესაც ინფორმაციული პროცესები უდიდეს ზეგავლენას ახდენენ ადამიანების მსოფლმხედველობის, ცხოვრებისეული, მორალურ-ფსიქოლოგიური და ქცევითი ასპექტების ჩამოყალიბებაზე და მოქმედებენ სახელმწიფო მართვის, შიდა და მთავრობათაშორისი ურთიერთობების ეფექტიანობაზე, ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამეცნიერო, ტექნოლოგიური და კულტურული განვითარება არსებითად არის დამოკიდებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეცნიერულ ცოდნასა და სახელმწიფო სტრუქტურებში მათ გამოყენებაზე.

საზოგადოების ნდობისა და მხარდაჭერის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, როცა ხელისუფლება მოწოდებულია აწარმოოს გამჭვირვალე და ობიექტური საინფორმაციო-საკომუნიკაციო პოლიტიკა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მზად არის საზოგადოებას მიაწოდოს ობიექტური ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესების, გადაწყვეტილებების, პრობლემებისა და თუ პერსპექტივების შესახებ. აწარმოოს დიალოგი მოქალაქეებთან, მუდმივად ეძებოს ინფორმაციის მიწოდების ახალი გზები და გააუმჯობესოს საკომუნიკაციო სისტემა.

ხელისუფლების მხრიდან ასეთი ქმედება განაპირობებს საზოგადოების მზადყოფნას მოხდინოს ადეკვატური რეაგირება ხელისუფლების პირდაპირ მარეგულირებელ ზემოქმედებაზე და ხელს უწყობს მის სწრაფ ადაპტაციას ახალი წესებისა და კანონების მიმართ. იმ შემთხვევაში კი, თუ სახელისუფლებო სტრუქტურაში არ არის აწყობილი ინფორმაციის დროული მიწოდებისა და უკუკავშირის სისტემა, საზოგადოებაში ჩნდება გაურკვეველობა და გაცნობიერების დეფიციტი მოსალოდნელი პერსპექტივებისა და შედეგების შესახებ, იწყება მოქალაქეების გაუცხოვება სახელისუფლებო ინსტიტუტებისადმი და ყალიბდება უნდობლობა მათ მიერ შემუშავებული პროგრამების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების ფუნქცია არ არის მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება. ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედებას საფუძვლად უდევს თანამშრომლობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს საქმიან

პარტნიორულ დამოკიდებულებებს და კოლექტიურ პასუხისმგებლობას ერთობლივად მიღებულ გადაწყვეტილებებზე. დემოკრატიული ხელისუფლება უნდა ისწრაფოდეს სახელისუფლებო ორგანოების ზეგავლენის გაძლიერებისკენ საზოგადოებრივი საქმიანობის დარეგულირების პროცესში და ამ ქმედებას ახორციელებდეს არა ადმინისტრაციულ – ბრძანებლობითი ფორმით, სადაც არ არსებობს ეფექტური მართვის ელემენტი – უკუკავშირი, არამედ ორმხრივი თანამშრომლობით – კვლევის, სოციალური დიალოგის, უკუკავშირისა და ინფორმაციულ-კომუნიკაციური მექანიზმების გამოყენებით. ხოლო, როცა სახელმწიფოს საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში სხვადასხვა მიზეზების გამო უგულებელყოფილია ურთიერთთანამშრომლობის პრინციპი, ირღვევა ინტრესთა ბალანსი რაც იწვევს ურთიერთგაგების მოშლას და საზოგადოებას, რომელსაც აღარ არ აქვს საკუთარი აზრის დაფიქსირებისა და სახელისუფლებო სტრუქტურებზე ზემოქმედების საშუალება, უქრება სურვილი მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში. შედეგად, იგი კარგავს საფუძველს ენდოს და მხარი დაუჭიროს ხელისუფლებას.

აქედან გამომდინარე, ხელისუფლების დემოკრატიული საქმიანობა შეუძლებელია სახელმწიფო სტრუქტურებში საზოგადოებასთან ურთიერთობის მაღალ დონეზე ჩამოყალიბებული პროფესიონალური სისტემების არსებობის გარეშე. ტრივიალურ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ის აქტიურად უწყობს ხელს მოქალაქეებისა და მათი გაერთიანებების ზეგავლენის გაძლიერებას სახელმწიფო, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ სტრუქტურებზე, პოლიტიკურ ძალებსა და მათ ლიდერებზე. ასეთ პირობებში იძულებისა და დიქტატის მეთოდები გუხას უთმობენ ინტერესთა ურთიერთშეთანხმებას და სხვადასხვა მხარეების ძალისხმევათა კოორდინირებას ამა თუ იმ საკითხების გადაწყვეტასა და საერთო მოქმედების სტრატეგიის შემუშავების პროცესში.

ამრიგად, საზოგადოებასთან ურთიერთობა უნდა განვიხილოთ არა როგორც მხოლოდ მეცნიერება ან ტექნოლოგია, არამედ როგორც საზოგადოების სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის მუდმივად საჭირო და ღირებული ფუნქცია, რომელიც თავისთავად წარმოადგენს დაგეგმილ და

უწყებებ ძალისხმევას, მიმართულს დაინტერესებულ პირებს შორის შორის კეთილსასურველი ურთიერთობების და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაზე.

ხელისუფლება, რომელიც ხელმძღვანელობს დემოკრატიული პრინციპებით მუდმივად უნდა ახდენდეს სახელისუფლებო სტრუქტურებში საზოგადოებასთან ურთიერთობის, როგორც მმართველი სისტემის სტიმულირებას და ხელს უწყობდეს მისი ძირითადი მიზნების, ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიზნები სახელისუფლებო სტრუქტურებში:

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს კომუნიკაციური პოტენციალის, როგორც სახელწიფო პოლიტიკის გატარების რესურსის, გამოყენების მექანიზმის დარეგულირება. ხელისუფლების კომუნიკაციური შესაძლებლობებში იგულისხმება, როგორც ინფორმაციული არხების შექმნა, ასევე მოსახლეობასთან ურთიერთობა, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მოსმენა და მათთვის საინტერესო საკითხებზე ახსნა-განმარტების მიცემა.

კერძოდ:

- სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა;

- სამუშაო პროცესის გამჭვირვალობის, გახსნილობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა;

- მოქალაქეებთან, საზოგადოებრივ დაჯგუფებებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

- მოქალაქეების, საზოგადოებრივი დაჯგუფებებისა და ორგანიზაციების ჩართულობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში;

- საკანონმდებლო ცვლილებებზე ზემოქმედება და მათი აღსრულების ხელშეწყობა;

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შიდა და საგარეო სახელმწიფო პოლიტიკის გატარება;

საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციები:

ინფორმაციულ-პოლიტიკური ფუნქცია: გულისხმობს შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი აზრისა და მოქალაქეების მოსალოდნელი რეაქციის სიღრმისეული შესწავლითა და კონკრეტული

გადაწყვეტილების მიღების გამომწვევი სიტუაციის ანალიზის საფუძველზე სახელწიფოს საინფორმაციო პოლიტიკის შემუშავებას. ასევე, ანალიტიკური მონაცემების მომზადებას ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების მიზნით.

ინფორმაციულ-კომუნიკაციური ფუნქცია – გულისხმობს ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებას და გავრცელებას დაინტერესებულ პირებში. ასევე, სახელისუფლებო სტრუქტურებში სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შენარჩუნებას, საქმიანობის ეთიკისა და საფორმო სტილის დაცვას. ხელისუფლების ცალკეული ქმედებისა თუ პროცედურის საზოგადოებაზე ზეგავლენის გაანალიზებას. იმ პროცედურებისა და ქმედებების გამოაშკარავებას, რომლებიც შესაძლოა კონფლიქტში შევიდნენ საზოგადოების ინტერესებსა და ფასეულობებთან;

საკონსულტაციო-მეთოდოლოგიური ფუნქცია – გულისხმობს რჩევებისა და რეკომენდაციების გაცემას საზოგადოებასთან ურთიერთობის დარეგულირების მიზნით. ასევე თანამშრომლობის, სოციალური პარტნიორების, პროგრამებისა და კამპანიების კონცეპტუალური მოდელების შემუშავებას.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფუნქცია – განსაზღვრავს აგრეგირებულ ზომებსა და ქმედებებს და იყენებს მათ სხვადასხვა აქტივობების: აქციების, ბიზნეს შეხვედრების, გამოფენების, კონფერენციებისა და სხვა მომზადების პროცესში. ასევე უზრუნველყოფს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საქმიანობის სამართლებრივ მხარდაჭერას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ამოცანები

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მიმართულია შექმნას ორმხრივი ურთიერთობების მოდელი ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის და შეიმუშავოს საერთო ინტერესები და შეხედულებები, რათა მიაღწიოს ურთიერთგაგებასა და მოგება-მოგებაზე დაფუძნებულ თანამშრომლობას. ამრიგად, მის ძირითად ამოცანას სახელისუფლებო სტრუქტურებში წარმოადგენს საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა სახელმწიფო მართვის პროცესებში და ხელისუფლების საქმიანობის მხარდაჭერის ფორმირება საზოგადოებაში.

ამ ამოცანების შესრულების მიზნით, სახელისუფლებო სტრუქტურებში საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობა უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით:

- მოქალაქეებთან და ორგანიზაციებთან კონტაქტების დამყარება, გაფართოება და სტიმულირება;
- შიდა კომუნიკაციის მართვა;
- ინფორმაციული ნაკადების მართვა;
- საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ფორმირება;
- საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების პროგნოზირება;
- ხელისუფლების დადებითი იმიჯისა და რეპუტაციის შექმნა;
- კრიზისების მართვა;
- საკომუნიკაციო სტატეგიისა და კონკრეტული აქტივობების შემუშავება;
- შეფასება.

დასკვნა: ზემოაღნიშნული საკითხების შეჯამების ლოგიკური დასკვნას წარმოადგენს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა სახელმწიფოს მართვის აუცილებელი ფუნქციაა დემოკრატიული წყობის პირობებში. სახელმწიფო სტრუქტურებში პროფესიულად გამართული საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის არსებობა არის ქვეყანაში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა, რადგან ის უზრუნველყოფს სახელმწიფოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო პოლიტიკის შემუშავებას, მხარდაჭერასა და განხორციელებას და ხელს უწყობს მოქალაქეების ჩართულობას მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესში.

ლიტერატურა

References:

1. sazogadoebasTan urTierToba – strategia da taqtika – uilkoqsi denis I., kameroni glen t. Tbilisi, 2011.
2. Богданов Е., Зазыкин В. Психологические основы «Паблик рилейшнз»2-е изд. – СПб.: Питер, 2003. – 208 с.

Natia Gotsadze
Purposes, Functions and Tasks of Public Relations in Public Administration

Summary

Public Relation is an important function of Public Administration under the conditions of democracy. One of the main preconditions of development of civil society in the country is existence of professionally adjusted system of public relations at government institution, as this ensures involvement of citizens in the process of significant political decisions.

Public Relations in Public Administration, in its nature, is nothing other than management of social thinking, implemented not by compulsion, but on the basis of correspondence of interests. Its main purpose is regulation of communication potential of government, as a mechanism of using of resource of government policy implementation.

The present article describes main purposes, functions and tasks of public relations service in government institutions; it emphasizes its role and significance, as permanently necessary and valuable for perfect functioning of society, which on its own is a planned and continuous effort directed towards building and maintaining benevolent relations and mutual understanding between interested parties.

Keywords: Public Relations, Public Administration, civil society, democratization.

Reviewer: Professor Giorgi Bagaturia, Georgian Technical University

НатияГоцадзе
Цели, функции и задачи связей с общественностью в государственном управлении

Резюме

Связи с общественностью – обязательная функция управления государством в условиях демократического строя. Наличие профессионально налаженной системы служб связей с общественностью в государственных структурах является одной из предпосылок развития демократии и гражданского общества в стране, так как она обеспечивает включенность граждан в процесс важных политических решений .

Связи с общественностью в государственном управлении по своей природе ничто другое, как управление общественным мнением, осуществленное на почве не принуждения, а соответствия интересов. А их главнейшим назначением является регулирование механизма использования ресурса проведения коммуникационного потенциала власти, как государственной политики.

В данной статье описаны основные цели, функции и задачи службы связей с общественностью в государственных структурах. Выявлена ее роль и значение, как постоянно необходимой и ценной для полноценного функционирования общества, которая сама по себе является запланированными и непрерывными усилиями, направленными на доброжелательные отношения, и формированием и сохранением взаимопонимания между заинтересованными лицами.

Ключевые слова:связи с общественностью, государственное управление, гражданское общество, демократизация.

Рецензент: Профессор Георгий Багатурия, Грузинский технический университет.

ტარიელ ჭულუხაძე
ელექტრონული მმართველობა და დემოკრატია

ელექტრონული მმართველობა არის დეკომერატის ხელშემწყობი და განვითარების ერთ ერთი მნიშვნელოვანი საშუალება. საქართველო ადგას დემოკრატიზაციის გზას, შესაბამისად ელექტრონული მმართველობის განვითარება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ჩართულობას პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს უფრო გამჭვირვალე მმართველობას.

საკვანძო სიტყვები: ელ-სერვისები, ელ-პეტიცია, ელ-მთავრობა, გამჭვირვალობა, დემოკრატია, ელ-ჩართულობა

ინტერნეტ ტექნოლოგიების სფეროში ტექნოლოგიური მიღწევებით, ბოლო ათწლეული განსაკუთრებით გამოირჩევა. განვითარდა მასობრივი ინფორმაციის სფეროები სხვადასხვა ფორმატით, როგორებიც არის ინტერნეტ სერვისები ხელმისაწვდომი ტექსტური, აუდიო ვიდეო მასალა, რუკები და ა.შ.

აღსანიშნავია რომ, ინტერნეტ ტექნოლოგიების სფეროში მიღწეული წარმატების ერთ ერთი დამახასიათებელი თვისებაა მისი ხელმისაწვდომობა, გამოყენების სიმარტივე და მოხერხებულობა ნებისმიერი ასაკის მომხმარებლისათვის.

ინტერნეტ ტექნოლოგიების სფეროს განვითარებასთან ერთად რიგ ქვეყნებში საფუძველი ჩაეყარა და განვითარდა საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რომლებიც წარმოადგენს რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს მოქალაქეთა სოციალურ მონაწილეობას და ამ მეთოდით უზრუნველყოს ძლიერი საზოგადოებრივი თანამონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დღესდღეობით, საქართველოში მიმდინარებს დემოკრატიზაციის პროცესი. თვითონ დემოკრატია გულისხმობს ხელისუფლების თავისუფალ და სამართლიან არჩევას ხალხის ხმათა უმრავლესობით, გამჭვირვალე მმართველობას და ამომრჩეველთა ჩართულობას გადაწყვეტილების პროცესში. ამ უკანასკნელის მისაღწევად, თანამედროვე ტექნოლოგიები გვაძლევს საშუალებას რომ უფრო მარტივად და ეფექტურად განხორციელდეს ქვეყანაში “ხალხის ბატონობა” ანუ დემოკრატია.

ტერმინი ელექტრონული ჩართულობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ელექტრონულ დემოკრაციასთან და გულისხმობს დემოკრატიულ პროცესებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, როგორც ერთმანეთთან, ისე პოლიტიკური თანამდებობისა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან ურთიერთობისთვის.

თუმცა, ელ-ჩართულობისა და ელ-დემოკრატიის მრავალი სხვა განმარტებაც არსებობს, რომელიც ამ ორი ტერმინის სხვადასხვა ასპექტზე ახდენს ფოკუსირებას. კერძოდ, გაეროს კვლევა ელ-ჩართულობას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ციფრული საკომუნიკაციო მედიის გამოყენება, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის შექმნის პროცესში, მეტად ინკლუზიური, ღია, რეაგირებადი და საგანგებოდ ჩამოყალიბებული პროცედურების მეშვეობით“.

ელექტრონული დემოკრატიის მიზანია, ჩართოს მოქალაქეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ამასთანავე, გააძლიეროს წარმომადგენლობითი დემოკრატია ინტერნეტზე წვდომის სხვადასხვა არხების გამოყენებით, როგორებიცაა: საჯარო და კერძო პერსონალური კომპიუტერები, მობილური ტელეფონები, მექანიკური მოწყობილობები, ინტერაქტიული ციფრული ტელევიზია და ა.შ. გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული პროცესი შესაძლოა, დაგვით ორ კატეგორიად: ერთი უკავშირდება საარჩევნო პროცესს, ხოლო მეორე – მოქალაქეების ელ-ჩართულობით გადაწყვეტილების მიღებას. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვლევა „ელექტრონული მმართველობის მომსახურების გადახედვა“ (2009), გეთავაზობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების საერთო მონახაზს მოქალაქეების ონლაინ რეჟიმში მონაწილეობის მხარდასაჭერად და ხაზს უსვამს ელ-ჩართულობის უმნიშვნელოვანეს მიზნებს, რომლებიც შეჯამებულია შემდგომი მიმართულებებით:

სხვადასხვა ფორმით გამოვლენილი ელ-ჩართულობა დაფუძნებულია არსებული და განვითარებადი ინსტრუმენტების გამოყენებაზე, ესენია: ბლოგები, ონლაინ ფორუმები, ელ-პეტიციები, ელექტრონული პანელები, ელექტრონული ხმის მიცემა, ელექტრონული გამოკითხვები, ელ-კონსულტაციის

ინსტრუმენტები და ა.შ. ელ-ჩართულობის პროცესების ხელშესაწყობად და გასაძლიერებლად გამოიყენება შემდეგი ტექნოლოგიები და სისტემები: გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები, ონლაინ გამოკითხვები, არგუმენტის ვიზუალიზაციის ინსტრუმენტები, სიახლეთა ჯგუფები, ადრესატების სიები, საძიებო სისტემები, ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენები და ბუნებრივი (ადამიანური) ენის კომპიუტერული დამუშავების ინსტრუმენტები.

საქართველომ უკვე განახორციელა და დანერგა ელ-მმართველობის არაერთი წარმატებული პროექტი და ამ კუთხით მიიღო საერთაშორისო აღიარება. საჯარო სამსახურის ბიურო, როგორც რეფორმებსა და ინოვაციებზე ერთ ერთი პასუხისმგებელი ორგანო საქართველოს საჯარო სამსახურის სფეროში, 2009 წლიდან, სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად, აქტიურად მუშაობს საქართველოს საჯარო სამსახურში ელ-მმართველობის სისტემების დანერგვისა და განვითარების კუთხით. შედეგად, ბიუროს მიერ წარმატებით განხორციელდა ელ-მმართველობის რიგი პროექტები.

2010 წელს, საჯარო სამსახურის ბიურომ შეიმუშავა ვებ-პლატფორმა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შესახებ – ქონებრივი დეკლარაციების აღრიცხვის ონლაინ სისტემა **DECLARATION.GOV.GE**, რომელმაც საგრძნობლად გააუმჯობესა და გაამარტივა თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი დეკლარაციების შევსება, წარდგენა და გამოქვეყნება. აღნიშნული ონლაინ სისტემა, 2013 წელს დაჯილდოვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, საჯარო სამსახურში გამჭვირვალობის შედეგად კორუფციის პრევენციისა და კორუფციასთან ბრძოლისთვის.

2011 წელს ამოქმედდა ვებ-პლატფორმა საჯარო სამსახურში არსებული კონკურსებისთვის საჯარო სამსახურში დასაქმების პორტალი **HR.GOV.GE**. სისტემა ამარტივებს როგორც ახალი სამუშაო ადგილის გამოცხადების, ისე სამსახურში აყვანის პროცესს. ვებგვერდის მეშვეობით კონკურსის გამოცხადება დასაქმების პროცესს გამჭვირვალეს ხდის და აქედან გამომდინარე, საქართველოს საჯარო სამსახურებში, ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობები ხელმისაწვდომი.

2011 წელს შეიმუშავდა მინიმალური ტექნიკური სტანდარტები ადამიანური რესურსების მართვისა და

დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემებისთვის, რომლებიც 2012 წელს დამტკიცდა მთავრობის მიერ. აღნიშნული სტანდარტები, მნიშვნელოვნად ზოგავს ადამიანურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს.

ამასთანავე, საქართველოში ელ-ჩართულობის ხელშემწყობი ინსტრუმენტების განხორციელების მაგალითებია: მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ელექტრონული სამთავრობო მომსახურებების ვებ-პორტალი E-GOVERNMENT.GE, მოქალაქის პორტალი MY.GOV.GE, იუსტიციის სახლის პორტალი HOUSE.GOV.GE, ბიზნესისა და ქონების რეგისტრაციის საქართველოს ეროვნული სააგენტოს საჯარო რეესტრის ვებ-პორტალი NAPR.GOV.GE, ღია მმართველობის მონაცემთა ვებ-პორტალი DATA.GOV.GE, სახელმწიფო შესყიდვების პორტალი PROCUREMENT.GOV.GE.

2014 წელს საქართველოს მთავრობის ინიციატივით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო საქართველოში ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) განვითარების სტრატეგიული ამოცანების და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

საქართველოში ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის განვითარება მიზნად ისახავს საქართველოში მის განვითარების ხელშეწყობას და გეოსივრცითი ელექტრონული მმართველობის სფეროში ევროპულ მიდგომებთან (INSPIRE დირექტივა) შესაბამისობის მიღწევას. სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა არის პოლიტიკის, ინსტიტუციური ქმედებების, ტექნოლოგიების და მონაცემების ერთობლიობა, რომელიც იძლევა სივრცითი ინფორმაციის ეფექტურად გამოყენებისა და გაზიარების საშუალებას. მისი მიზანია მაღალი ხარისხის, ჰარმონიზებული სივრცე მაღალი ხარისხის, ჰარმონიზებული სივრცითი მონაცემები თი მონაცემების ხელმისაწვდომობა ხელმისაწვდომობა ვებ-პორტალის (გეოპორტალის) მეშვეობით სახელმწიფო პორტალის (გეოპორტალის) მეშვეობით სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის, ინსტიტუტებისათვის, კერძო სექტორის, აკადემიური წრე კერძო სექტორის, აკადემიური წრე კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და მოქალაქეებისთვის ისა და მოქალაქეებისთვის და მონაცემების გაცვლისთვის და მონაცემების გაცვლისთვის შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ჩარჩოს შესაბამის ტექნიკურ და

ორგანიზაციულ ჩარჩოს შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ჩარჩოს უზრუნველყოფა უზრუნველყოფა.

მიუხედავად ფაქტისა რომ მსოფიო ბანკის 2014 წლის მონაცემებით საქართველო ჯერ კიდევ კვალიფიცირდება როგორც “განვითარებადი ეკონომიკა” ინტერნეტ ტექნოლოგიების და სერვისების დონით ის საკმაოდ მაღალ დონეზე დგას და გაეროს ელ-ჩართულობის ინდექსის მიხედვით ლატვიას და იტალიას შორის პოზიცირდება. საგულისხმოა ის ფაქტი რომ მიუხედავად მიღწეული შედეგისა საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ ნაწილობრივ არის ჩართული მოცემულ პროცესში, რაც თავის მხრივ განპირობებულია საქართველოს არასრულფასოვანი ინტერნეტიზაციის პროცესით (რეგიონებში), და ასევე მოქალაქეთა დაბალი ინფორმირებულობით. მაგალითისთვის საჯარო სამსახურში დასაქმების პორტალი HR.GOV.GE, ფუნქციონირებს 2011 წლიდან. საჯარო სამსახურის ბიუროს ინფორმაციით მანამ სანამ საქართველოს საკანონმდებლო ორგანო სავალდებულოს გახდის საჯარო სამსახურში დასაქმებას მოცემული პორტალის მეშვეობით, მანამდე პორტალზე აქტიურობა იყო საშუალოზე დაბალი (დღეში 50-მდე უნიკალური მომხმარებელი), ხოლო მას შემდგომ რაც პორტალით სარგებლობა დამსაქმებლებისათვის და საჯარო სამსახურში მუშაობის მსურველთათვის გახდა სავალდებულო, პორტალს დღეში 1000-მდე უნიკალური ვიზიტორი სტუმრობს. შესაბამისად იმისთვის რომ დაჩქარდეს და გაიზარდოს ელექტრონული სერვისების და ჩართულობის სერვისების გამოყენება, საჭიროა ხელისუფლების მიერ ეტაპობრივად მოხდეს სხვადასხვა მომსახურების ელექტრონულ ფორმაში მიწოდება (მაგ: პირადობის მოწმობის ადების/განახლების დამისამართის ცვლილების მხოლოდ ონლაინ აპლიკაციის მეშვეობით) რაც წლების განმავლობაში საქართველოს მოქალაქებს გაუჩნეს ნდობას და დაუნერგავს ონლაინ სერვისების გამოყენების კულტურას და ასევე გამოიწვევს მათ ჩართულობას მსგავსი სერვისების მიღებაში.

ელექტრონული მმართველობა არის დეკომერატივის ხელშემწყობი და განვითარების ერთ ერთი მნიშვნელოვანი საშუალება. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული საქართველო ადგას დემოკრატიზაციის გზას, შესაბამისად ელექტრონული მმართველობის განვითარება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ჩართულობას პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში, რაც

თავის მხრივ უზრუნველყოფს უფრო გამჭვირვალე მმართველობას.

ელექტრონული მმართველობა არის დეკომერტივის ხელშემწყობი და განვითარების ერთ ერთი მნიშვნელოვანი საშუალება. საქართველო ადგას დემოკრატიზაციის გზას, შესაბამისად ელექტრონული მმართველობის განვითარება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ჩართულობას პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს უფრო გამჭვირვალე მმართველობას.

ლიტერატურა

References:

1. OECD- Rethinking e-Government Services; 2009, ISBN: 9789264059412 (PDF)
2. UN E-Government Survey 2014; UN, 2014
3. World Bank - saqarTvelos mimoxilva 2014
4. doRonaZe S., iaSvili g. sajaro samsaxuri saqarTveloSi: reformebi, gamowvevebi - "eleqtronuli mTavroba". Tbilisi 2013.
5. saqarTvelos konstitucia: ganaxlebuli versia. 2014 wlis 20 martis mdgomareobiT.

Tariel Tchulukhadze

E-Governance and Democracy

Summary

E-Governance is one the main tools for the democracy and its further development. Georgia has embarked on the road to democracy; therefore developing e-democracy will encourage citizens to be more engaged in social and political activities. Engagement itself will lead Georgia to more democratic and transparent state.

Keywords: e-services, e-governance, e-democracy, transparency, democracy, e-engagement

Reviewer: Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

Тариел Чулухадзе

Электронное управление и демократия

Резюме

Электронное управление является одним из важных способов развития и поддержки демократии . Грузия встала на путь демократиии следовательно развитие электронного правительства привлечет граждан к участию в политической и общественной жизни, что, в свою очередь, обеспечивает более прозрачной системы управления.

Ключевые слова: Э - услуги, э- петиции, электронное правительство , прозрачность , демократия, электронное участие

Рецензент: профессор Шота Догонадзе, Грузинский технический университет

ღაწილი ლელაძე
ბიუროკრატიისა და ელექტრონული მთავრობის
შედარებითი ანალიზი

ტრადიციულ ბიუროკრატიულ პარადიგმაში, ხელისუფალნი კონცენტრირებული იყვნენ შიდა მწარმოებლურობის ეფექტიანობაზე, ფუნქციონალურ რაციონალურობაზე, იერარქიულ კონტროლსა და მართვის წესებზე, სადაც ნიშანდობლივი იყო მართვა ზემოდან ქვემოთ, იერარქიული კომუნიკაცია და კონტროლი. ე-მთავრობის პარადიგმაში – სახელმწიფოს მმართველებს ამოძრავებს ისეთი გენერირებული პრობლემები, როგორცაა ეკონომიკური ეფექტიანობა, ფოკუსირება მომხმარებელთა დაკმაყოფილებასა და მართვაზე, მომსახურების მიწოდების მოქნილობა, შიდა და გარე მხარეების მიერ ქსელის მართვა, მოქნილობა, ჯგუფური მუშაობა, მრავალმიმართულებიანი ქსელი, მხარეებს შორის პირდაპირი კომუნიკაცია და სწრაფი უკუკავშირი, ინოვაციური მეწარმეობა, ორგანიზაციული სწავლება, მომსახურების წარდგენის დაჩქარება, კლიენტზე მიმართული სტრატეგია. პორიზონტალურ-იერარქიული კონტროლი.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული მმართველობა, სტრატეგია, ბიუროკრატია, სახელმწიფო, მართვა.

ელექტრონული მმართველობიდან ჩვენ ამ ჯერზე აქცენტს გავაკეთებთ ელექტრონულ მთავრობაზე, როგორც საჯარო მმართველობის სისტემის გაჯანსაღების ერთ ერთ მნიშვნელოვან კომპონენტზე.

ელექტრონულ მთავრობას უწოდებენ სისტემას, რომელიც მიზნად ისახავს სამთავრობო ორგანიზაციის შიგნით, სამთავრობო ორგანიზაციებს (ცენტრალურ, ადგილობრივ) შორის და მთავრობასა და მოქალაქეებს/ბიზნესს შორის არსებული ურთიერთობების ეფექტიანობის, პროდუქტიულობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას და მოქალაქის როლის გაძლიერებას სახელმწიფოს მართვის პროცესში, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახვეწა-გაუმჯობესების გზით. აღსანიშნავია, რომ „ელექტრონულ მთავრობაში“ სიტყვა „ელექტრონული“ ციფრული ტექნოლოგიის კომპონენტს გამოხატავს, ხოლო „მთავრობა“ სოციალურ ასპექტს ასახავს.

ამდენად, ე-მთავრობა გულისხმობს არა მხოლოდ არსებული პროცედურების კომპიუტერიზაციას, არამედ მთლიანად პროცედურების შეცვლასა და გამარტივებას. მაგრამ იგი ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია და იძლევა შესაძლებლობების ფართო არეალს.

ელექტრონული მთავრობა საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში გასული საუკუნის ბოლოს მომხდარი რევოლუციის პირშია. ამ ტექნიკური რევოლუციის შედეგია, რომ დღეს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების (აშშ, იაპონია, დასავლეთ ევროპა) მმართველობითი ტექნოლოგიების წამყვანი პრინციპი სწორედ ელექტრონული მთავრობაა. ე.ი. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგია ამ ქვეყნებში მმართველობის განხორციელების, ისევე როგორც, ვთქვათ, წარმოების, საბაზო ტექნოლოგიაა.

ელექტრონული მთავრობის უპირატესობა

- საჯარო ინფორმაციასთან წვდომისა და არასაჯარო ინფორმაციასთან დაშვების დონეზე წვდომის რეგულირება;

- გამჭვირვალობა;
- შიდა კომუნიკაციის ამაღლება;
- მოქნილი დოკუმენტბრუნვა;
- ზოგადი მობილურობა;
- ადამიანური ფაქტორების მინიმიზაცია;
- კონტროლის მექანიზმების გამარტივება.

საკითხის აქტუალობა

- თანამედროვე, ცივილიზებულ ფორმებზე გადასვლის აუცილებლობა

- სამსახურებრივი გულგრილობის გაქრობა
- კორუფციული ელემენტების მინიმიზაცია
- საჯარო სამსახურის დაცვა პოლიტიკური რყევებისაგან

ე-მმართველობის შექმნა მიზნად ისახავს მთელი რიგი პრობლემების გადაჭრას: სტანდარტული და რუტინული პროცესების ავტომატიზაცია, რაც გამორიცხავს ბიუროკრატიზაციასა და კორუფციას. სახემდწიფო მართვასა და განსაკუთრებით საჯარო მმართველობაში/სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობისა და ოპერატიულობის შეფერხებაში საკმაოდ დიდ და ნეგატიურ როლს თამაშობს ბიუროკრატიზაცია და კორუფცია. მაქს ვებერის განმარტებით, რაციონალური ბიუროკრატიის მთავარი პლუსი მისი პოლიტიკური რყევებისგან დამოუკიდებლობაა. იმისგან

დამოუკიდებლად, თუ როგორ იცვლება პოლიტიკური სურათი ქვეყანაში, რაციონალური ბიუროკრატია სტაბილურად აგრძელებს მუშაობას. ნაწილობრივ ამგვარი დამოუკიდებლობის გამო და ნაწილობრივ სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით კადრების სისტემის შიგნით აღზრდა/დაწინაურების გამოც არსებობს რისკი ბიუროკრატის ძლევამოსილ, შეუვალ და საკუთარი ინტერესებით მოქმედ კასტად ჩამოყალიბებისა, რასაც ეწოდება ბიუროკრატიაზაცია. ბიუროკრატიაზაციის შემთხვევაში ბიუროკრატები არ არიან დაინტერესებულნი მათზე დაკისრებული მოვალეობის სწრაფად და ხარისხიანად შესრულებაში. უფრო მეტიც - ერთფეროვანი, მოსაწყენი, რუტინული სამუშაო პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხი ქვედა რგოლებში და პასუხისმგებლობის დაბალი ხარისხი ზედა რგოლებში და არც თუ ისე მაღალი ანაზღაურება, უბიძგებს ბიუროკრატებს სიზარმაცისა და პასიურობისაკენ. ხოლო, საჯარო ინფორმაციით და სოციალური სერვისებით მოსარგებლეთა დაინტერესება, უქმნის მათ ხანმოკლე ძალაუფლებით ტკობისა და სარგებლობის ცდუნებას, რაც განაპირობებს ბიუროკრატების სიზარმაცეს, არაოპერატიულობას, სიზანტეს, ფლეგმატურობას, უგულისყურობას, უხეშობას, პასუხისმგებლობაზე თავის არიდებას და გამორჩენის მიღების შანსის ხელიდან არგაშვებას. იმ სერვისში რომელიც შენ გეკუთვნის, ის ცდილობს პროცესის გაჯანჯლებას და სარგებლის მიღებას.

ყველა ეს შესაძლო მანკიერი მხარე რომც გამოვრიცხოთ, ბიუროკრატიული პროცესი მაინც იჭიმება დროში. ერთ-ერთი ექსპერიმენტის თანახმად, სტანდარტულ პროცედურებზე გვერდის ავლით გარკვეული მოთხოვნის შესაბამის ინსტანციებში დამუშავებასა და პასუხის გაცემას სჭირდებოდა 90 წუთი, მაგრამ დადგენილი პროცედურების თანახმად აღნიშნული დოკუმენტის მიერ იგივე ციკლის გავლას სჭირდებოდა 5 სამუშაო დღე, რომ აღარაფერი ვთქვათ სარკმელიდან სარკმელთან სირბილზე.

1. მიმღებთან განაცხადის შევსება. დაგროვილი განაცხადები გროვდება კალათში

2. გადადის სორტირების განყოფილებაში მეორე დღეს და ხდება მათი განაწილება იმის მიხედვით, თუ ვისი კომპეტენციაა და ვისთან წავიდეს. შესაბამის კალათებში გროვდება

3. მესამე დღეს დოკუმენტი არის შესაბამისი კომპეტენტური პირის მაგიდაზე, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას და ტოვებს კალათში

4. მეოთხე დღეს გადაწყვეტილება მიჰყვება იმავე რიგს ქვემოთ

5. მეხუთე დღეს მომხმარებელმა შეიძლება მიიღოს პასუხი ან ვერ მიიღოს.

ექსპერიმენტის ავტორებმა განაცხადი შეაყვას და წაიღეს სორტირებაზე, შემდგომ კომპეტენტურ პირთან, მოაწერინეს ხელი მას და დაბრუნდნენ უკან. ამას 90 წუთი დასჭირდა. ელ. მთავრობის, ანუ განაცხადის/მოთხოვნის მიღება სორტირების ავტომატიზებულ რეჟიმში და მისი შევსებიდან რამდენიმე წამში სისტემა ავტომატურად ასორტირებს შემოსულ განაცხადს და ავტომატურადვე ხვდება კომპეტენტური პირთან (დესკოპზე). პასუხს სცემს და ეს დოკუმენტი ავტომატურად მისდის ადრესატს. ეს პროცესი წაიღებს არა 5 დღეს ან 90 წუთს, არამედ რამდენიმე წუთს მხოლოდ.

ეს ზემოაღნიშნული გამორიცხავს რიგებს, მომხმარებლის უკმაყოფილებას და მის მზაობას, გაიღოს დამატებითი გასამრჯელო, გამორიცხავს კორუფციას, ბიუროკრატია მხრიდან უგულისყურობის, მავნებლობის, სიზარმაცისა და უპასუხისმგებლობის შესაძლებლობას.

ე-მთავრობა მიზნად ისახავს მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის უკეთესი მომსახურების შეთავაზებას და ინფორმაციული რესურსების ეფექტურ მართვას. იგი დაეფუძნება ე-ბიზნესის ფუნქციონირების პრინციპებს, რომელიც საკმაოდ კარგად არის განვითარებული. ელექტრონულ მთავრობას გააჩნია ოთხი ძირითადი პრინციპი. ესენია:

- სახელისუფლო მომსახურების ჩამოყალიბება მოქალაქეთა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;

- ხელისუფლების და მისი მომსახურების ხელმისაწვდომობის ამაღლება;

- საზოგადოების ჩართულობა;

- ინფორმაციის უკეთესად გამოყენება.

ე-მთავრობა საინფორმაციო საზოგადოების მმართველობითი პრინციპის განხორციელებაა, რამდენადაც საინფორმაციო საზოგადოებაში განვითარებულია ფართო დემოკრატია, ხელისუფლების და საჯარო ორგანოების მიზანი ხდება არა მხოლოდ ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობების

უზრუნველყოფა, არამედ თითოეული მოქალაქის მოსაზრების აღქმა და გათვალისწინება, რათა ყველასთვის იქნეს მიღწეული საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმალური რეალიზაცია.

ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ელექტრონული მთავრობის ფუნქციონირება (ცენტრალურ, თუ ადგილობრივ დონეზე) რამდენიმე აუცილებელ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს:

1. ტექნიკურ-ტექნოლოგიური პირობა: ეს ორგანო უზრუნველყოფილია სათანადო ინფოკომუნიკაციების სამივე კომპონენტით, ე.ი. კომპიუტერიზებული, ავტომატიზირებული და ინტერნეტიზებულია. ამასთან, ამ სამიდან თუნდაც ორი კომპონენტი მესამის გარეშე (მაგ. კომპიუტერიზება და ინტერნეტიზირება ავტომატიზების გარეშე) უკვე აღარ არის საკმარისი ელექტრონული მთავრობის არსებობისთვის;

2. ინსტიტუციური პირობა: ეს ორგანო ფუნქციურად და სტრუქტურულად უნდა წარმოადგენდეს ლოგიკურ სისტემას, ე.ი. როგორც მისი საქმიანობა, ასევე ამ საქმიანობის პროცედურები, აგრეთვე ორგანოს ორგანიზაციული აგებულება აღწერადი უნდა იყოს მათემატიკური ალგორითმით. პრაქტიკულად ელექტრონული მთავრობა გამოირიცხავს ფუნქციურ ან სტრუქტურულ ირაციონალურობას – თუ ესა თუ ის ორგანო "მუშაობს" ფორმალურად ჩამოყალიბებული, მკაცრად განსაზღვრული კომპეტენციების, ადმინისტრაციული (ფორმალიზებული) პროცედურებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის გარეშე, ელექტრონული მთავრობა ვეღარ იარსებებს.

3. მთავრობის არსებობა ზემოთ მოყვანილი ორივე პირობის შესრულების შემთხვევაშიც სავარაუდოდ პრობლემატური დარჩება, თუ არ იქნება შესაბამისი საინფორმაციო გარემო. მმართველობის ორგანო იზოლირებული ორგანიზმი არ არის, იგი საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ინფორმაციულ სივრცეში ფუნქციონირებს. თუ ეს სივრცე სათანადოდ ინფორმატიზებული არ არის, ე.ი. პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და საინფორმაციო პროცესები საზოგადოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების ბაზაზე არ მიმდინარეობს, მაშინ ელექტრონული მთავრობაც წესით აზრს კარგავს.

დღევანდელ სამყაროში წარმოუდგენელია იმ მეთოდებითა და საშუალებებით მართვა, რაც პოპულარული და ეფექტიანი იყო თუნდაც რამდენიმე ათეული წლის წინ. ელექტრონული

მთავრობის კონცეფციის განხორციელების გარეშე დღეს უკვე წარმოუდგენელია ცივილიზაციის ახალი ეტაპის - საინფორმაციო საზოგადოების ზღურბლთან მდგარი მოწინავე ქვეყნების არსებობა და განვითარება.

ელექტრონული მთავრობა - ყველა იმ პროცესების გადატანა ელექტრონულ სივრცეში, რაც ზოგადად მთავრობაში ხდება. ბევრის თქმა შეიძლება მის უპირატესობებზე. პირველ რიგში აღსანიშნავია ზოგადი მობილურობა, როგორც შიდა კომუნიკაციის ამაღლების კუთხით, ასევე დოკუმენტბრუნვის, კონტროლის მექანიზმების გამარტივების, საჯარო ინფორმაციასთან წვდომისა და არასაჯარო ინფორმაციასთან დაშვების დონეზე წვდომის რეგულირების, ადამიანური ფაქტორების (სინტაქსურ დონეზეც კი) მინიმიაზაცია;

უარყოფითი მხარეები:

- ფინანსების მხრივ “ძვირი სიამოვნებაა”,
 - განსაკუთრებული უსაფრთხოების ნორმების შემუშავებას მოითხოვს,
 - ასევე მოითხოვს ელექტრონული ინფრასტრუქტურის შექმნას, რაც შესაბამისად, აძვირებს პროექტს.
- მიუხედავად ამ ყველაფრისა, პროექტი იქნება წარმატებული და რაც მთავარია ხარჯთაღმწევი რადგან:
- ელექტრონული მმართველობა აქტუალურია მინიმუმ იმდენად, რამდენადაც საჭიროა სწრაფ, მოქნილ, ეფექტიან და ცივილიზებულ ფორმებზე გადასვლა.
 - ე-მთავრობა უზრუნველყოფს მაქსიმალურ გამჭვირვალობას, რაც დამატებითი მოტივატორია საჯარო მოხელისათვის, რაც საბოლოოდ გააქრობს სამსახურებრივ გულგრილობას.
 - იცავს ზოგადად საჯარო სამსახურს პოლიტიკური რყევებისგან.
 - პოლიტიკური ძალის შეცვლისგან დამოუკიდებლად მოქმედებს და პოლიტიკური ამინდი არ ცვლის თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ყოფნა/არყოფნას. ანუ ეს მოხელის დაცვის გარანტიაცაა.
 - ურთიერთქმედება და კომუნიკაცია სწრაფია, ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება და მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაც მოხდება შემცირებულ ვადებში.

რაც მთავარია, დღეს ყველა სტრუქტურას ყავს თავისი მაკონტროლებელი ორგანო. ამის გარდა სხვებიც არიან, რომლებიც სწორად შემოწმების საბაზით ახდენენ ამა თუ იმ სამსახურის პარალიზებას, მუშაობის შეფერხებას. ეს კი სტრესია ჩვეულებრივი თანამშრომლისათვის, რაც მის პროდუქტიულობას ამცირებს. საქმეც არ კეთდება, ან კეთდება ძალიან არაეფექტურად და მუხრუჭებით. ელ. სისტემაში კი კონტროლი განხორციელდება ნებისმიერი ადგილიდან, ელ. სისტემაზე წვდომით, რაც უმარტივესს საქმეს როგორც მაკონტროლებელს, ისე კონტროლის ობიექტს. ყველა მოხელემ იცის, რომ ყოველ წუთს მოწმდება, მაკონტროლებელს ნებისმიერი დოკუმენტის მიღება შეუძლია ზემდგომისგან დაშვების მიღებით.

დასახული მიზნების მიღწევა, ცხადია, სხვადასხვა გზით შეიძლება. ამა თუ იმ სცენარის არჩევა ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. საბოლოო ჯამში შესაძლოა განხილულ იქნეს ელექტრონული მთავრობის ორი - "ზემოდან" და "ქვემოდან" შექმნის სცენარი.

1. ელექტრონული მთავრობის შექმნა "ზემოდან"

საერთო ეროვნული მასშტაბით ელექტრონული მთავრობების შექმნა, ანუ ყველა დონის (ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი) და დარგის მმართველობის ორგანოების და საჯარო დაწესებულებების მასობრივი გადაყვანა საქმიანობის საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე წარმოების პრინციპზე, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან უმნიშვნელოვანესი და კოპლექსური ხასიათის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას გულისხმობს სუფ ცოტა, სამი საკვანძო მიმართულებით. ეს მიმართულებანი:

- ინფორმაციზაციის სახელმწიფო პოლიტიკა;
- მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკა;
- რაციონალური საჯარო სამსახურის შექმნის სახელმწიფო პოლიტიკა.

2. ელექტრონული მთავრობის შექმნა "ქვემოდან"

არსებობს სხვა სცენარიც: კერძოდ, ტექნოლოგიური რევოლუციის არა "ზემოდან", არამედ "ქვემოდან" განხორციელება – ანუ ელექტრონულ მთავრობათა შექმნა ადგილობრივი თვითმმართველობების ინიციატივით. ამ სცენარის განსახორციელებლად რაიმე პრინციპული ხასიათის

საკანონმდებლო შეზღუდვები თვითმმართველ ერთეულებს არა აქვთ. ისიც ნაკლებ სავარაუდოა, რომ ცენტრალური ხელისუფლებისგან სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდეთ. ადგილობრივ დონეზე ელექტრონული მთავრობების შექმნა ლოკალური მასშტაბით განხორციელებული ტექნოლოგიური რევოლუციაა, მას ეროვნულ ტექნოლოგიურ გადატრიალებასთან შედარებით შეიძლება ნაკლები პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი მოჰყვეს, მაგრამ თუ ამ ინიციატივას ბევრი თვითმმართველი ერთეული აყვა და ეს საბოლოო ჯამში საერთო-ეროვნულ "რევოლუციაში" გადაიზარდა, მაშინ, ცხადია, ამ "რევოლუციაში" აქტიურად ჩაებმება ცენტრალური ხელისუფლებაც. ეს ზემო სცენარით განსაზღვრული სამი ფუნდამენტალური პოლიტიკური ამოცანის – ინფორმატიზაციის, დეცენტრალიზაციისა და საჯარო დაწესებულებების რაციონალიზების სრულიად საქართველოს მასშტაბით გადაწყვეტაც იქნება. თანაც, თუ პროცესი "ქვემოდან" დაიწყო, ეს მართლაც იქნება, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, ყველაზე უფრო ეფექტიანი დეცენტრალიზაცია რეალურ ქართულ პრაქტიკაში."

განსაკუთრებით საყურადღებოა ცენტრის მიერ ჩამოყალიბებული დებულებები ადგილობრივი თვითმმართველობის ელექტრონული მთავრობის შექმნის თაობაზე:

„ელექტრონული მთავრობის "ქვემოდან" შექმნა თვითმმართველი ერთეულის მიერ შემდეგი ამოცანების კომპლექსურ გადაწყვეტას საჭიროებს:

ა) ლოკალური ინფორმატიზაციის პროგრამული და ნორმატიული უზრუნველყოფა სავალდებულოა თვითმმართველი ერთეულის საინფორმაციო გარემოს განვითარებისთვის ელემენტარულ პირობათა შექმნა, რაც ნიშნავს როგორც ლოკალური მასშტაბით "თამაშის წესების" განსაზღვრას (ეს არ იქნება წინააღმდეგობრივი, რადგან ინფორმატიზაციის ეროვნული კანონმდებლობა აქ გადაულახავ ბარიერებს ვერ შექმნის, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თითქმის არც არსებობს) ასევე იმ მატერიალურ, ტექნიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებს, რაც აუცილებელია ინფოკომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მასიური ხელმისაწვდომობისთვის, თანამედროვე

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნისა და შემდგომში მისი განვითარებისთვის;

ბ) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების და ადგილობრივი სამსახურების რაციონალური მოდელის შექმნა და განხორციელება. თვითმმართველობის კომპეტენციები, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში საკმაოდ მნიშვნელოვანია, იმისთვის, რომ მათ განსახორციელებლად ღირდეს მმართველობის ლოგიკური მოდელის შექმნა. ამასთან, საკუთარი ორგანოების ფუნქციების, საქმიანობის წესისა და სტრუქტურის განსაზღვრაც თვითმმართველი ერთეულის ხელშია. სავალდებულო იქნება თვითმმართველობის ექსკლუზიურ თუ დელეგირებულ კომპეტენციათა განხორციელების და შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობის ლოგიკური ალგორითმის შექმნა – თვითმმართველობის ორგანოებისა და სამსახურების ფუნქციების, შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურების, ოპერაციებისა და პროცედურების, პერსონათა ურთიერთქმედებების (მაგ. მოქალაქე-საჯარო სამსახური, საჯარო მოსამსახურე - საჯარო სამსახური, საჯარო სამსახური - საჯარო სამსახური და სხვ.) მოდელირება, მათი ფორმალიზება, ნორმატიულ აქტებში ასახვა და პრაქტიკული დანერგვა.

გ) ელექტრონული მთავრობის ტექნიკურ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა. აქ გასათვალისწინებელია, რომ მოსამზადებელი იქნება კომპლექსური ტექნიკური დავალება, რომელიც თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციების, სტრუქტურის, პროცედურებისა და ურთიერთქმედებების გათვალისწინებით განსაზღვრავს საჭირო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკას, სისტემებს, აგრეთვე საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფას, ქართული კონტენტის შექმნას.

დ) საფინანსო უზრუნველყოფა. ცხადია, ელექტრონული მთავრობის შექმნა ფული ღირს და როგორ წესი, თვითმმართველობას საჭირო სახსრები არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, ეს ის შემთხვევაა, "როცა ჩიტი ბღღუნად ღირს" და საჭიროა როგორც საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობათა მობილიზება, ასევე და უპირატესად, დონორების დაინტერესება და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, კერძო ინვესტიციების მოზიდვაც. წარმატების საფუძველი ის არის, რომ ელექტრონული მთავრობის შესაქმნელად დახარჯული თითოეული თეთრი ათმაგად და ასმაგად ანაზღაურდება.

ე) საკადრო უზრუნველყოფა. ელექტრონული მთავრობა ვერ იარსებებს, თუ მის პერსონალს არ გააჩნია საინფორმაციო ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარ-ჩვევები. სავალდებულო იქნება საჯარო მოხელეთა სწავლების, მომზადება-გადამზადების ორგანიზება, მათი კვალიფიკაციის და სამსახურში მიღების კრიტერიუმების ახლებურად განსაზღვრა.“

მიგვაჩნია, რომ ნოვატორულია ის მიდგომები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ხსენებულ მასალაში, რადგან სისტემა ქმნის უნიკალურ შესაძლებლობებს, რათა ხარისხობრივად გაუმჯობესდეს ადგილობრივი საზოგადოებრივი მომსახურება, უზრუნველყოფილი იქნეს თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა თანამონაწილეობა, აღდგეს თვითმმართველობის ინსტიტუტების საფუძვლიანი ნდობა და ა.შ. სისტემის საშუალებით თვითმმართველობის ორგანოები და სამსახურები მუშაობენ ონლაინ რეჟიმში, ისინი ხელმისაწვდომი ხდებათ არა მხოლოდ ადამიანთა და ორგანიზაციათა ვიწრო წრისთვის, არამედ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის (თუნდაც მის გარეთ) ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერი თანასაზოგადოებისთვის. ისინი ხელმისაწვდომია მათთვისაც, ვისაც არა აქვს კომპიუტერი. ელექტრონული მთავრობა ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით მოსახლეობას სთავაზობს ინტეგრირებულ მომსახურებას, რომელიც პასუხობს ყველა მოქალაქის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს. მომსახურების მიწოდება შესაძლებელია ნებისმიერ ადგილასა და დროს, ამასთან სხვადასხვა არხის მეშვეობით. ამისთვის სისტემა იყენებს ვებ-კვანძებსა და ინტერნეტ-პორტალებს, ინტერნეტით და IVR ტექნოლოგიით ("Interactive Voice Responce – ინტერაქტიული ხმოვანი პასუხი" - კომპიუტერულ სისტემასთან სატელეფონო ურთიერთქმედების ტექნოლოგია), მობილური კომუნიკაციებით და ინტერაქტიური ტელევიზიით შექმნილ მოთხოვნათა დამუშავების ცენტრებს.

ეს ცენტრები წარმოადგენენ "უნივერსალურ დაწესებულებებს" (one-stop shops), რომლებიც შეიძლება განთავსდეს საფოსტო განყოფილებაში, თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში, ბიბლიოთეკაში, სკოლასა თუ სადაც გნებავთ, ნებისმიერი საჯარო დანიშნულების შენობაში. ამ სისტემის მეშვეობით მოქალაქეს ეძლევა შესაძლებლობა დღეს საკმაოდ "ბიუროკრატიზებული" და შრომატევადი პროცედურები (მაგ. რეგისტრაცია, დაუშვათ საპენსიო ფონდში,

ანდა ადგილობრივ საგადასახადო ორგანოში და სხვ.) ისევე მარტივად განახორციელოს, როგორც ტელეფონზე დარეკვა ან ტელევიზორის არხის გადართვა. ამ სისტემის მეშვეობით ძალზე იოლია თვითმმართველობის მიერ მიწოდებული მომსახურების სფეროში მოქალაქეთა თვითმომსახურების დანერგვა. ეს საშუალებას იძლევა გამოთავისუფლდეს სოციალური სამსახურის ბევრი მუშაკი და ისინი დაკავდნენ იმ ადამიანებით, რომელთაც განსაკუთრებული მზრუნველობა ესაჭიროებათ (მარტოხელები, ინვალიდები და სხვ.).

ლიტერატურა

References:

1. magStadi T.m. gavigoT politika, ilias saxelmwifo universitetis gamomcemloba, Tbilisi 2011.
2. jonsoni j.b., reinoldsi h.t. politikis mecnierEBis kvlevis meTodebi, ilias saxelmwifo universitetis gamomcemloba, Tbilisi 2013.
3. doRonaZe S., iaSvili g. sajaro samsaxuri saqarTveloSi: reformebi, gamovvevebi „eleqtronuli mTavroba–, Tbilisi 2013.
4. doRonaZe S., saxelmwifo marTvis Teoriis sakiTxeBi, gamomc. „cis namil|, Tbilisi 2007.
5. doRonaZe S., baRaTuria o. saxelmwifo marTvis Tanamedrove problemebi, gamomc. „cis namil|, Tbilisi 2009.
6. baRaTuria g., baRaTuria o. strategiuli dagegmva saxelmwifo marTvasa da biznesis amocanebSi, gamomc. ||ocdameerTe||, Tbilisi 2009.

David Leladze

Comparative Analysis of the Bureaucracy and E-Government

Summary

In a traditional bureaucratic paradigm, rulers were concentrated on efficiency of inner productivity, functional rationality, hierarchical control and rules of management, where the main thing was managing from head to bottom, hierarchical communication and control. In the E-government paradigm, state rulers are interested in generated problems, such as economic efficiency, focusing on satisfaction of customers and management, flexibility of service delivery, network management by internal and external parties, flexibility, team working, multi-direction network, direct communication and fast feedback between parties, innovative entrepreneurship, organizational trainings, acceleration of

service presentation, client-oriented strategy, and horizontal-hierarchical control.

Keywords: e-governance, strategy, bureaucracy, state, management, Public Administration.

Reviewer: Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

Давид Леладзе

Сравнительный анализ бюрократии и Электронного правительства

Резюме

В традиционной бюрократической парадигме, правители были сосредоточены на эффективности внутренней производительности, функциональной рациональности, иерархичности контроля и правил управления, где главным было управление сверху вниз, иерархичность коммуникаций и контроля. В парадигме Электронное правительство - государственных управляющих двигают такие генерирующие проблемы как экономическая эффективность, фокусирование внимания на удовлетворенность потребителей и управления, гибкость предоставления услуг, управление сетью внутренними и внешними сторонами, гибкость, командная работа, мульти-направленная сети, прямая связь и быстрая обратная связь между сторонами, инновационное предпринимательство, организационное обучение, ускорение презентации обслуживания, ориентированная на клиента стратегии, горизонтально-иерархический контроль.

Ключевые слова: электронное управление, стратегия, бюрократия, государство, управление, государственное управление.

Рецензент: профессор Шота Догонадзе, Грузинский технический университет

ე კ ო ნ ო მ ი კ ა

გუნია ბარი, ზიზი სვანიძე, ლილი სვანიძე
თანამედროვე ენერგეტიკის მფობრადი განვითარების
ეკოლოგიური პროგრამები
მთიანი რეგიონის პირობებში

ნაშრომი მომზადებულია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გრანტით არასამთავრობო ორგანიზაციის „დრო და
მემკვიდრეობა“ პროექტზე – FR/138/9-280/12

საქართველოში, წყლის რესურსების კომპლექსურ
გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის
ძირითად საშუალებად ჰიდროელექტროსადგურების შენებაა
მიჩნეული.

პრაქტიკულად, ნაკლებად გამოყენებული
ჰიდროენერგეტიკული რესურსების არსებობა, თბო-
ენერგეტიკული ბალანსის მნიშვნელოვანი ოცენტ და
ჰიდროენერგოსადგურების უპირატესობა ეკონომიკურად
ხელსაყრელს და ენერგეტიკულად მიზანშეწონილს ხდის მათ
მშენებლობას საქართველოში. ჰიდროელექტროსადგურების
მშენებლობა სხვადასხვა ფართობისა და მოცულობის
წყალსაცავების არსებობას იწვევს.

ჰიდროენერგეტიკული დანადგარების აგება ძვირი ჯდება,
მაგრამ მათი ექსპლუატაცია შედარებით იაფია, ვინაიდან
„საწვავი“ მუქთია, რომელსაც არავითარი ინფლაცია არ
ემუქრება.

მაგრამ ჰიდროენერგეტიკული რესურსების ფართო
გამოყენებისათვის არსებობენ მრავალი სიძნელეები.
უპირველეს ყოვლისა, ჰიდროენერგეტიკა ბუნებრივი
გარემოსათვის უსაფრთხო არ არის.

ჰეს-ბის შექმნისა და ექსპლუატაციის ეკოლოგიური
შედეგები დაკავშირებული არიან ისეთ მოვლენებთან,
როგორებიცაა: წყალსაცავების ნეგატიური ზემოქმედება
მიმდებარე ტერიტორიების მიკროკლიმატზე; ჰიდროლოგიური
რეჟიმის რღვევა, მათი ფლორისა და ფაუნის სახეობათა
შედგენილობის გაუარესებით; დიდი ტერიტორიების გარიყვა
და ნოყიერი მიწებისა და ტყის მასივების დატბორვა;
ადგილობრივი – აბორიგენ მოსახლეთა გადასახლება
თავიანთი ისტორიული დასახლებების ადგილებიდან;
წყალსაცავების, დროთა განმავლობაში, თანდათანობით,

სამრეწველო, კომუნალური, სოფლის მეურნეობათა და ა.შ. საწარმოთა მიერ ჩაშვებული მანეჟ და ტოქსიკური ნივთიერებათა სათავსად ქცევა.

ბიოგენური ნივთიერების გარდა აქ მძიმე მეტალების, რადიოაქტიური ელემენტებისა და მრავალი, დიდი სიცოცხლის პერიოდის მქონე, შსამქიმიკატების აკუმულაცია ხდება.

აკუმულაციის პრობლემები პრობლემურს ხდიან შესაძლებლობას წყალსაცავების მიერ დაკავებული ტერიტორიების გამოყენებას მათი ლიკვიდაციის შემდეგ.

არსებობს მონაცემები, რომ წყალსაცავები, მათი აშენებიდან, დაახლოებით, 50–100 წლის შდეგ, შლამით ამოვსების შედეგად, როგორც ენერგეტიკული ობიექტები კარგავენ თავიანთ ღირებულებას.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მთიან რეგიონებში ეს პროცესი მნიშვნელოვნად არის აჩქარებული, რისი „კარგი“ მაგალითია გუმათი – ვარციხის წყალსაცავები.

ვაკე რაიონებში სანაპირო მიწის ნაკვეთებს შეუძლიათ ბარის ბიოტოპების დანაკლისის ნაწილობრივი კომპენსირება მოახდინონ, ხოლო მთებში ასეთი დანაკლისი, ძირითადად, აუნაზღაურებელი რჩება. ამის შედეგად მთის წყალსაცავების დესტრუქციული გავლენა

ეკოსისტემაზე მეტად მკაფიოდ ვლინდება.

ხშირად, გაუაზრებელი ჰიდროენერგეტიკული სამეურნეო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკაში ნეგატიური პრობლემების წარმოქმნას უწყობს ხელს: ნადგურდება სანაპირო ინფრასტრუქტურა, კულტურული მემკვიდრეობის ნაგებობები და საცხოვრებელი სახლები; აღინიშნება ზღვისპირში პლაჟამგები ნატანის ოცენტ, რის გამოც სანაპიროზე მკვეთრად აქტიურდება აბრაზიული პროცესები.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება; ენერგეტიკის ეკოლოგიური პრობლემები; მთიანი რეგიონები.

თანამედროვე ენერგეტიკის განვითარება წარმოდგენილია წყალსაცავების აშენების გარეშე. მათი არსებობა აუცილებელია ჰიდრავლიკური (კეს-ბი), თბო (თეს-ბი) და ატომური (აეს-ბი) ელექტროსადგურებისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, მე XX-ე საუკუნის ბოლო ათეული წლებიდან მოყოლებული, ელექტროსადგურების აშენებით გამოწვეული პრობლემები ფართოდ იძენენ აქტუალობას მსოფლიოში.

საქართველოში, წყლის რესურსების კომპლექსურ გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის ძირითად საშუალებად ჰიდროელექტროსადგურების შენებაა მიჩნეული.

პრაქტიკულად, ნაკლებად გამოყენებული ჰიდროენერგეტიკული რესურსების არსებობა, თბოენერგეტიკული ბალანსის მნიშვნელოვანი დეფიციტი და ჰიდროენერგოსადგურების უპირატესობა ეკონომიკურად ხელსაყრელს და ენერგეტიკულად მიზანშეწონილს ხდის მათ მშენებლობას საქართველოში. მაგრამ, ვინაიდან წყლის ბუნებრივი ვარდნები (ხანჩქერები) არც ისე მრავლად მოიპოვება ქვეყანაში, მდინარეთა პოტენციური ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენება წყლის ხელოვნური ვარდნის დონეების შექმნას მოითხოვს. ამის გამო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა სხვადასხვა სიდიდის დაწნევის მქონე ჰიდროკვანძების აგებას უკავშირდება, რაც, შესაბამისად, სხვადასხვა ფართობისა და მოცულობის წყალსაცავების არსებობას იწვევს.

პირველი ჰიდროელექტროსადგურები მდინარეებს მათი ბუნებრივი სახით იყენებდნენ, მაგრამ ეხლა, წყლის ვარდნის სიმაღლის გაზრდისა და მისი მოსვლის გასამართავად, უმეტეს შემთხვევაში კაშხლებს აშენებენ. ჰიდროენერგეტიკული დანადგარების აგება ძვირი ჯდება, მაგრამ მათი ექსპლუატაცია შედარებით იაფია, ვინაიდან „საწვავი“ მუქთია.

ამ მეთოდის უპირატესობებს მიეკუთვნება ის, რომ არ ბინძურდება ატმოსფერო და ადვილად ხდება წყლის მიწოდების რეგულირება, რის გამოც პიკური დატვირთვისთან დაკავშირებული პრობლემები არ არსებობს.

მაგრამ ჰიდროენერგეტიკული რესურსების ფართო გამოყენებისათვის არსებობს მრავალი სიძნელეები, მათ შორის: ჰიდროენერგეტიკა ბუნებრივი გარემოსათვის უსაფრთხო არ არის; საჭიროა დიდი მოცულობის წყლის დაგროვება.

ჰეს-ბის შექმნისა და ექსპლუატაციის ეკოლოგიური შედეგები, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია ისეთ მოვლენებთან, როგორებიცაა: წყალსაცავების ნეგატიური ზემოქმედება მიმდებარე ტერიტორიების მიკროკლიმატზე; ჰიდროლოგიური რეჟიმის რღვევა, მათი ფლორისა და ფაუნის სახეობათა შედგენილობის გაუარესებით; დიდი ტერიტორიების გარიყვა და ნოყიერი მიწებისა და ტყის მასივების დატბორვა,

რაც ადგილობრივ – აბორიგენ მოსახლეთა გადასახლებას იწვევს.

ვაკე რაიონებში სანაპირო მიწის ნაკვეთებს შეუძლიათ ბარის ბოტოპების დანაკლისის ნაწილობრივი კომპენსირება მოახდინონ, ხოლო მთებში ასეთი დანაკლისი, ძირითადად, აუნაზღაურებელი რჩება. ამის შედეგად მთის წყალსაცავების დესტრუქციული გავლენა ეკოსისტემაზე მეტად მკაფიოდ ვლინდება [2,7,8,9].

მაგალითად, თანახმად ნაშრომი [2]-სა, დასავლეთ საქართველოში უდიდესი – ჯვრის წყალსაცავის არსებობის პერიოდის 1980-1990წწ: მესტიაში ჰაერის ტემპერატურა 10%-ით მოიმატა, ხოლო ხაიშში – 5 %-ით შემცირდა; ნიადაგის ტემპერატურა მესტიაში, ჯვარში და ხაიშში შემცირდა, დაახლოებით, 2, 4 და 10%-ით, შესაბამისად.

თავიანთი ნორმებთან შედარებით, ეს ცვლილებები უფრო მნიშვნელოვანია.

ატმოსფერული ნალექების საშუალოწლიური მნიშვნელობები საანალიზო პერიოდში თითქმის მთელ განსახილველ ტერიტორიაზე მატების ტენდენციით ხასიათდებიან: - მესტიაში - 5%, ჯვარში - 6%, ზუგდიდში - 18%, გალში კი, 12%.

ფარდობით ტენიანობას საკვლევე პერიოდში მატების ტენდენცია გააჩნია: მესტიაში, ხაიშში და ზუგდიდში, საშუალოდ, 3 %-ით, ხოლო ჯვარში მისი მატება 10%-ს აღემატება.

წყალსაცავის შექმნით 15კმ² ფართობზე, მკვეთრად მცირდება ქვეფენილი ზედაპირის ალბედო, საშუალოდ, დაახლოებით, 50 %-ით.

ქვეფენილი ზედაპირის ტემპერატურისა (შემცირება, საშუალოდ, 15 %-ით) და წყლის ორთქლის დრეკადობის (მატება, საშუალოდ, 8 %-ით წელიწადში) ერთობლივი ცვლილებებით გამოწვეული ხემოქმედება იწვევს წყალსაცავის ზედაპირის ევექტური გამოსხივების შემცირებას, დაახლოებით, 2 %-ით წელიწადში და წყალსაცავის ზედაპირის რადიაციული ბალანსის მატებას, დაახლოებით, 15-25 %-ით [7].

გამოთვლები, აგრეთვე, ცხადყოფენ, რომ ამ მეტეოელემენტის მნიშვნელობები წელიწადის სხვადასხვა პერიოდებში, მკვეთრად განსხვავდებიან. მაგალითად, ზამთრის პერიოდში, წყალსაცავის შექმნის შემდეგ, ამ ტერიტორიაზე რადიაციული ბალანსის მნიშვნელობა მატულობს, საშუალოდ,

90%-ით, გარდამავალ პერიოდებში 40%-ით, ზაფხულში, დაახლოებით, 20%-ით. მთელი წლის განმავლობაში კი, დაახლოებით, 30% -ით.

ეს რიცხვები წარმოადგენენ საკმაოდ მაღალ სიდიდეებს და წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიის მეტეოროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების არსებობაზე მიუთითებენ.

დროთა განმავლობაში წყალსაცავების ფსკერი წყლის მყარი ნატანით იფარება და, თუ მათი რეგულარული ამოწმინდა არ იწარმოებს, ისინი წყალსაცავის სასარგებლო მოცულობას იკავებენ. ეს კი, წყალსაცავის ეფექტურობის დაკარგვას იწვევს. ამასთან, ის, სამრეწველო, სოფლის, კომუნალური მეურნეობათა და ა.შ. საწარმოთა მიერ ჩაშვებული მავნე და ტოქსიკური ნივთიერებათა სათავსად იქცევა [5].

ბიოგენური ნივთიერების გარდა აქ მძიმე მეტალების, რადიოაქტიური ელემენტებისა და მრავალი, დიდი სიცოცხლის პერიოდის მქონე, შხამქიმიკატების აკუმულაცია ხდება.

ქვემოთ, ცხრილში სამეცნიერო ლიტერატურული მონაცემებისა და ჩვენი დაკვირვებების შედეგების ერთობლივი დამუშავებით მიღებული დასკვნებია მოცემული.

ჰიდროენერგეტიკის გავლენა ბუნებრივ გარემოზე, ეკოსისტემებზე და ადამიანზე

პროცესი	გავლენა გარემოს ელემენტებზე და ბიოტაზე				ჯაჭვური რეაქციების მაგალითები
	ნიადაგზე, გრუნტებზე	ჰაერზე	წყლებზე	ეკოსისტემებზე და ადამიანზე	
1	2	3	4	5	6
2. სახელის ცნობადობა;
3. ხარისხის აღქმა;
4. ასოციაციები, რომელსაც იწვევს ბრენდი აღქმის ხარისხთან ერთად;
5. სხვა საფირმო აქტივობები: პატენტები, სავაჭრო ნიშნები, ურთიერთობები დისტრუბუციის ხაზებთან და სხვა. [12]

თუმცა, არსებობს ბრენდის კაპიტალის სხვა განმარტებები და ინდიკატორებიც. მაგალითად, არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბრენდის კაპიტალი დამოკიდებულია შემდეგ რვა ფაქტორზე:

- ბრენდის გაერცვლება,
- მისი განმასხვავებელი ნიშნები,
- ბრენდის ხარისხი,
- ბრენდის ღირებულება,
- ბრენდის ინდივიდუალურობა,
- ბრენდის პოტენციალი,
- კონკურენტული სტაბილურობა,
- ბრენდის დინამიურობა.[13. 115]

ბრენდი გვევლინება ერთგვარ, თავისებურ ურთიერთობის ენად კომპანიასა და მომხმარებელს შორის. დაახლოებით ისე, როგორც PR სპეციალისტი გვევლინება მედიატორად, ინფორმაციის გამტანად და კომუნიკაციების მმართველად კომპანიაში. ამ ურთიერთობების ენას აქვს თავისი სტრუქტურა

ტექსტი: ლოგო, სიმბოლო, ლოზუნგი, შეფუთვა, სარეკლამო ტექსტი და სახე.

კონტექსტი: მეტაფორა – რომლის დახმარებითაც ფორმირდება სავაჭრო ნიშნის ინდივიდუალურობა და პირობა.

კომუნიკაციის ლოგიკა – საქონლის მომწოდებლის წყარო და კომუნიკაციის წყარო. ამ ენას ქმნიან მარკეტინგის, PR-ის და რეკლამის სპეციალისტები და ისინი ასწავლიან მომხმარებლებს გაიგონ ის.

სავაჭრო ნიშანი – ეს იურიდიული ტერმინია, რომელიც აღნიშნავს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტს, იცავს რა სავაჭრო ნიშანს, სახელებს და სხვა სასაქონლო ატრიბუტებს.

სავაჭრო მარკა – ეს არის მიღებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს თვითონ საქონელს და მის იმიჯს. ეს ის იმიჯია, რომელსაც პიარ სპეციალისტი უქმნის სავაჭრო მარკას და ესმარება მას სწორად იქნეს აღქმული საზოგადოების მიერ.

ბრენდი არის არა ყველა, არამედ წარმატებული სავაჭრო ნიშანი.

ბრენდინგი არის ტექნოლოგია სავაჭრო მარკის შექმნის და გაბრენდების შესახებ.

სავაჭრო მარკის ცნობადობა, რომელსაც ქმნის პიარი ანვითარებს მარკის მომხმარებლის და ლოიალურად განწყობილი ადამიანების წრეს.[14]

კ. კლესის და პ. კრიგას ნამუშევრებში წარმოდგენილია ანალიზი სხვადასხვა ფაქტორებისა და ასპექტების, რომელიც განსაზღვრავს ბრენდის კაპიტალს. პირველ რიგში გამოიყოფა

კავშირი თითოეული ფაქტორისა საბაზრო წილთან. ანალიზის შედეგად გამოიყო რვა მნიშვნელოვანი ფაქტორი:

1. ბრენდის გაგრძელება – ბრენდის ხელმისაწვდომობა, რეკლამისა და ბრენდზე ინფორმაციის ვალიდურობა;

2. ბრენდის თავისებურება: მანქანებლების შეწონილი კომბინაცია, დიფერენციაციის მახასიათებლები/ბრენდის უნიკალურობა და მისი უპირატესობა კონკურენტებთან მიმართებაში.

3. ბრენდის ხარისხი: შეფასება მთლიანად საქონლისა ან მომსახურების ხარისხის საერთო რეპუტაციის და მისი ხაზის გაგრძელების;

4. ბრენდის ღირებულება: მანქანებლების შეწონილი კომბინაცია, რომელიც ხარისხის განმსაზღვრელია და რომლის მიხედვითაც ბრენდი მომხმარებელს უზრუნველყოფს იმით, რისთვისაც ახდენიან. ხშირად მოიხსენება როგორც ”ღირებულება”;

5. ბრენდის მახასიათებელი: მანქანებელი, რომლის მიხედვითაც ბრენდის იმიჯი შეესაბამება იმას, რასაც წარმოადგენს ან რაც მიეძღვის სურს;

6. ბრენდის პოტენციალი: ისეთი მდგომარეობა, როდესაც მომხმარებელი მზადაა გადაიხადოს მეტი, შეცვალოს ჩვეული წესრიგი ან გასინჯოს ახალი, ჯერ კიდევ ბაზარზე არ არსებული პროდუქტი, ან მოცემული ბრენდის ხაზის გაგრძელებები;

7. კონკურენტებისგან დაცულობა: ისეთი მდგომარეობა, როცა მომხმარებლები ბრენდის მიმართ ლოიალურები იქნებიან რთულ პერიოდებშიც კი, ან კონკურენტულ პირობებში;

8. ბრენდის მიმართ ქცევა: მდგომარეობა, რომელშიც მიდევნებები უპირატესობას ანიჭებენ, იყენებენ, გამოიყენებენ ან გამოიყენებდნენ ბრენდს; [15. 77]

თითოეული ეს ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი შედეგია იმ კვლევისა, რომელიც ინტერნეტის მეშვეობით, პირადად ან მედიის საშუალებით ჩატარდა. დაისვა 3-5 კითხვა ბრენდის ლოგოს წარმოდგენით, წონითი კოეფიციენტის გათვალისწინებით კი გამოიყო შეფასება თითოეული წარმოდგენილი ბრენდისა.

ბრენდის კაპიტალში შეიძლება გავაერთიანოთ ისეთი გაგება, როგორც არის ”ბრენდის ძალა” (power , strength) – ეს არის შემაჯამებელი მახასიათებელი ბრენდის ცნობადობის და მისი ღირებულების დონის შესახებ. იმდენად, რამდენადაც

ცოდნა და ბრენდის ღირებულება წარმოადგენს ბრენდის დინამიურობის მაჩვენებელს, ბრენდის სიძლიერის მაჩვენებელი არასდროს არ არის ერთ კონკრეტულ მდგომარეობაში და ის მუდმივად იცვლება. ძლიერი ბრენდი – ეს არის ბრენდი, რომელსაც თავისი დიდი კაპიტალი აქვს.

ააკერის მიხედვით, ბრენდის ღირებულებას განსაზღვრავს შემდეგ ათ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს: [16. 316-336]

1. ფასი (უნარი იმისა, რომ მოცემული პროდუქტი გაიყიდოს მის მსგავს პროდუქტებზე უფრო ძვირად);
2. დაკმაყოფილება/ლოიალურობა კლიენტებისა;
3. აღქმის ხარისხი;
4. სუბიექტური აღქმა - ლიდერობისა და ბრენდის პოპულარულობის შესახებ მომხმარებლების დამოკიდებულება;
5. აღქმადი ღირებულება: არის თუ არა საკმარისად კარგი პროდუქტის სარეალუზიაციო ფასი სხვა მსგავსი პროდუქტის ფასებთან შედარებით;
6. ინდივიდუალურობა – სპეციფიკური მახასიათებლების მიხედვით;
7. ასოციაცია კომპანიებთან – ბრენდის შემქმნელებთან;
8. ბრენდის ცნობადობა;
9. ბაზრის წილი;
10. ფასი და წარმომადგენლობა გაყიდვების ქსელში.

პირველი ორი მაჩვენებელი ადგენენ "ლოიალურობის გაზომვის" ჯგუფს, მესამე და მეოთხე მაჩვენებლები – "პროდუქტის აღქმას და იმიჯს", 5, 6, 7 – "ასოციაციებსა და განმასხვავებელ ნიშნებს", 8 – "ცნობადობას", 9 და 10 კი "ბაზარზე ქცევას".

როგორც ვხედავთ, ბრენდის შესახებ მრავალი მოსაზრება და განმარტება არსებობს. არსებობს სირთულეები ისეთი კარგად ცნობილი ტერმინების გაგებისას, როგორებიც არის "სეგმენტაცია", "პოზიციონირება", "დიფერენციაცია" და სხვა.

მაგალითად, შემდეგი განმარტება: "ბრენდის პოზიციონირება" – ეს არის მომხმარებლის ცნობიერებაში ბრენდის ადგილი. თითქმის ყველა მარკეტინგის სახელმძღვანელოში შეიძლება მოვიპოოთ განმარტება, რომლის მიხედვითაც პროდუქტის პოზიციონირება- ეს არის გამოყოფილი ადგილი, რომლის მიხედვითაც კონკურენტულ პროდუქტთან შედარებით, მოცემული პროდუქტი და მისი ატრიბუტები განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ ადამიანის გონებაში.

ნებისმიერ შემთხვევაში, ბრენდი ახდენს თქვენი ბიზნესის კონკურენტებისგან დიფერენციაციას და უზრუნველყოფს მომხმარებლის ლოიალურობას. კომპანიის ბრენდად ჩამოყალიბებისთვის არ არის საჭირო, რომ საქმე გვექონდეს ძალიან მაღალ ბიუჯეტთან და უკვე წარმატებულ ბიზნესთან. მომსახურებისა თუ პროდუქციის ბრენდად ქცევა შეუძლია საშუალო და დაბალ შემოსავლიან კომპანიებსაც. ბრენდინგის საშუალებით შესაძლებელია პროდუქტის, მომსახურების, კომპანიის, მოვლენის, პიროვნების ფასეულობის გაზრდა.

აუცილებლად ცალკე უნდა გამოვყოთ საზოგადოებასთან ურთიერთობის ბრენდინგის სამსახური. ბრენდის რეპუტაციაზე ზრუნვა და სასურველი იმიჯის შექმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის უპირველესი ამოცანაა. საზოგადოებასთან ურთიერთობა, ისევე, როგორც მარკეტინგული კომუნიკაციის სხვა ელემენტები, მომხმარებლის ცნობიერებაში ბრენდის დამკვიდრებისაკენ და მისი პოზიციის გაძლიერებისაკენ უნდა იყოს მიმართული. დღეს ბრენდინგი განსაკუთრებულად აქტუალურია, რადგან მომხმარებელი ნებისმიერი პროდუქტისა თუ მომსახურების შექმნისას ქვეცნობიერად სვამს კითხვას: რას ეტყვის ეს ბრენდი ჩემს შესახებ სხვებს? სწორად აღმიქვამენ ისინი თუ არა?

ზოგიერთის აზრით, საზოგადოებასთან ურთიერთობა კომპანიაზე ზრუნავს, ხოლო რეკლამა-პროდუქტზე რეალობა კი ხშირად საპირისპიროს ამტკიცებს – საზოგადოებასთან ურთიერთობა ძალზე მჭიდროდ არის დაკავშირებული პროდუქტთან. ბრენდინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა ერთად უნდა მოიაზრებოდეს. ამის გარეშე ბრენდი წარმატებული ვერ გახდება. საზოგადოებასთან ურთიერთობას თავისი უპირატესობა აქვს: ის მომხმარებლის დარწმუნების განსაკუთრებული უნართაა გამორჩეული. მას გაცილებით მაღალი ნდობა აქვს, ვიდრე რეკლამას ან პირდაპირ გაყიდვებს. ეს არ არის განპირობებული მარტო მედიის სანდოობით ან საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში მისი როლით. საზოგადოებრივ ურთიერთობას საზოგადოების დარწმუნება შეუძლია, რაც ბრენდის წარმატებულად მუშაობისთვის უმნიშვნელოვანესია.

ლიტერატურა

References:

1. <http://www.marketingpower.com/mg-dictionary-view329.php>
2. David A Aaker, Managing Brand Equity, The Free Press, New York, 1991
3. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10---4---4---0-11--11-en-10---10-preferences-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.14&d=HASHcdee20ba8fb8f05f49d188.2.5>
4. Marketing Management by Kevin Lane Keller and Philip Kotler 2005, Hardcover, Revised.
5. Marketing Management by Kevin Lane Keller and Philip Kotler 2005, Hardcover, Revised.
6. Бове К., Аренс У. Современная реклама. — М.: ИД «Довгань», 1995.
7. Busch P.S., Houston M.J. Marketing Strategic Foundation. — Homewood Free Press, 1988.
8. Jacoby J. Chestnut R.W. Brand Loyalty: Measurement and Management. New York: Wiley, 1979.
9. Interband. — <http://www.brand.com>.
10. Бойетт Джозеф, Бойетт Джимми. Гуру маркетинга. — М.: ЭКСМО, 2004.
11. Голубков Е.П. Основы маркетинга: Учебник. 2-е изд. — М.: Финпресс, 2003.
12. Бойетт Джозеф, Бойетт Джимми. Гуру маркетинга. — М.: ЭКСМО, 2004.
13. Бойетт Джозеф, Бойетт Джимми. Гуру маркетинга. — М.: ЭКСМО, 2004.
14. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10---4---4---0-11--11-en-10---10-preferences-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.14&d=HASHcdee20ba8fb8f05f49d188.2.5>
15. Бойетт Джозеф, Бойетт Джимми. Гуру маркетинга. — М.: ЭКСМО, 2004.
16. Aaker D.A. Building Strong Brand. — The Free Press, 1996.

Ketevan Gogdze
Brand – The Capital of Modern Society

Summary

As time changes we change as well, our behaviors and the way of thinking change. Everything new has the right to live and exist, everything is developing and growing, including a brand. Nowadays, brand is presented as a combination of a name, a word, a symbol and a design, which characterizes a certain product and distinguishes it from other products.

A brand is a symbol of people’s idea on your business. Formation of a company as a brand encourages customers to make decision on purchasing the product or the service. More precisely, a brand must never disappoint its customers. For example, if one of the characteristics of a brand is a 24-hour delivery service, customers must be sure that they will be rendered the service at any time of day or night.

Establishment and popularization of a brand is a strong and useful step for successful operation of a business. Appropriate management of a brand may have very good results in quite a short period of time. In the process of brand formation and development we must pay attention to how others listen to us and see us, what are our company’s capabilities, how we adjust to our experience, whether we correctly convey our professionalism or not and etc.

Adjustment of people to values is the main objective which must be the concern of the brand formation process. In order to manage and present our brand in the right way, we must appropriately perceive the object and must not present only the design, packaging or advertising.

The necessity of a brand in today’s world is obvious as it is important not only for its owner (as the most important and essential characteristic of a company) but also for its customers as a main determinant of quality of the product and service. It is impossible to imagine the world without a brand.

Public relations can significantly contribute to the process of branding. Through a strategic PR it is possible to emphasize the points where a brand acquires its essence. It is essential to use its designation correctly and clearly define our goals in terms of a brand.

Keywords: Brand, brand value, awareness of brand, loyalty, Internet, Public relations.

Reviewer: Professor Maia Kavtarashvili, School of Social Sciences at the University of Georgia

Кетеван Гогодзе

Бренд – Капитал современного общества

Резюме

С течением времени меняемся и мы, меняется и наше поведение и соображения. Все новое имеет право на жизнь и существование, все развивается и растет, в том числе и бренд. Сегодня бренд представляется нам как совокупность названия, слова, символа и дизайна, характеризующая определенный продукт и отличающая его от других продуктов.

Бренд – это символ того, что думают люди о вашем бизнесе. Формирование компании как бренда помогает покупателю в процессе принятия решения, связанного с приобретением продукта или услуг. А точнее сказать, бренд никогда не должен обманывать ожидания его потребителей. Например, если одним из показателей бренда является оказание услуг на месте в течение суток, потребитель должен быть убежден в том, что ему окажут услуги в любое время суток.

Создание и популяризация бренда являются сильным и полезным шагом для успешной работы бизнеса. Надлежащее управление брендом может в кратчайшее время принести наилучшие результаты. В процессе создания и развития бренда следует обратить внимание на то, как нас слушают и воспринимают другие, каковы возможности нашей компании, насколько мы соответствуем нашему опыту, правильно ли доносим наш профессионализм до потребителей и пр.

Соответствие человеческим ценностям – это главная цель, на которой должно основываться формирование бренда. Для того чтобы мы правильно управляли и представляли наш бренд, мы должны способствовать правильному восприятию объекта и не должны представлять только дизайн, упаковку или рекламу.

В сегодняшнем мире необходимость бренда очевидна, поскольку он важен как для его владельцев (как важнейший и главнейший показатель компании), так и для потребителей, как главный показатель качества услуг и товара. Мир без брендов невозможно представить.

Общественные отношения могут внести важный вклад в дело брендинга. Посредством стратегического PR возможна расстановка акцентов там, где бренд приобретает свою суть. Главное, правильно использовать его назначение и четко пояснить, какие задачи стоят перед нами с точки зрения бренда.

Ключевые слова: Бренд, значение Бренда, узнаваемость бренда, лояльность, Интернет, Связи с общественностью.

Рецензент: Профессор Майя Кавтварашвили, Школа социальных наук Грузинского Университета.

ხატიან მარკოზაშვილი
სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობა და
პერსპექტივები

სამოქალაქო საზოგადოება მრავალმხრივი შესწავლის საგანია და მიუხედავად იმისა რომ სიტყვა ხშირად იხმარება ძნელი სათქმელია თუ რამდენად ადეკვატურად ესმით საზოგადოებაში.

ასევე არაა ბოლომდე ნათელი მისი როლი და ფუნქციები საზოგადოებასა თუ სახელმწიფოში.

განსაკუთრებით რთულია საქართველოში მისი ფესვებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ მსჯელობა.

გამომდინარე იქიდან, რომ თერგდალეულთა მეშვეობით ქართული საზოგადოება ეზიარა ევროპული აზრის წიაღში წარმოშობილ იდეებსა და ღირებულებებს, აგრეთვე გამომდინარე ქართული დისიდენტობის ისტორიიდან და დამოუკიდებლობის პერიოდის გამოცდილებიდან შეგვიძლია გამოვხატოთ ფრთხილი ოპტიმიზმი იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების და მისი ინსტიტუციონალიზაციის პროცესი გაგრძელდება, რაც გამოიწვევს სახელმწიფოს განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლას.

საკვანძო სიტყვები: სამოქალაქო საზოგადოება, ხელისუფლება, ტრანსფორმაცია, ვარდების რევოლუცია

მსოფლიო რეფორმების სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარების პროცესს, მაგრამ ძალიან ცოტას “ჩვეულებრივ მოკვდავთაგან” თუ შეუძლია ახსნას, რა არის სამოქალაქო საზოგადოება. ისმის კითხვა: ჩვენი საზოგადოება კი არის სამოქალაქო?

სიტყვათაშერწყმა “სამოქალაქო საზოგადოება” პირობითად, ისევე როგორც “არასამოქალაქო” და უფრო მეტიც “ანტისამოქალაქო” საზოგადოება არ არსებობს. ნებისმიერი საზოგადოება შედგება მოქალაქეებისაგან და მათ ვარეშე არც კი მოიაზრება. მხოლოდ ადრეკლასობრივ, არაცივილიზებულ საზოგადოებას ვერ ვუწოდებდით სამოქალაქოს, რადგან, ჯერ ერთი, საზოგადოება მაშინ იყო პრიმიტიული და ამასთან ერთად არათანასწორი, მეორეც, იმიტომ რომ აღნიშნულ საზოგადოებაში საერთოდ არ იყო ისეთი ტერმინები, როგორიცაა “მოქალაქე”, “მოქალაქეობა”.

ტერმინთან “სამოქალაქო” დგას ფართო და მდიდარი შინაარსი. ერთი კი ნათელია, არა ყველა საზოგადოება, შემდგარი მოქალაქეებისგან, ითვლება სამოქალაქოდ, ისევე როგორც ნებისმიერი სახელმწიფო, სადაც მოქმედებს კანონი, არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლებრივად.

სამოქალაქო საზოგადოების მთავარ ღერძად გვევლინება კერძო საკუთრება. სამოქალაქო საზოგადოების აღმავლობისათვის საჭირო გახდა ევროპაში მე-16-მე-17 სს-ში გარკვეული რეფორმების გატარება, რის საფუძველზეც ადამიანი გარდაიქმნა ინდივიდად და მესაკუთრედ, ქვეშევრდომი კი მოქალაქედ. სამოქალაქო საზოგადოების გაგება ჩვენი დღევანდელი მეცნიერებისთვის საესებით ახალი და დაუშუშავებელი თემაა. თვითონ სამოქალაქო საზოგადოების იდეა ძალიან სუსტად არის გაგრძელებული ხალხთა ფართო მასებში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უფრო მეტი მოსაზრებები გვხვდება სამართლებრივ სახელმწიფოსთან დაკავშირებით. ამასთანავე, თუ სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეპცია ჩვენთან წარმოჩენილი იყო 80-იან წლებში და მთელი ამ ხნის განმავლობაში აქტიურად განიხილებოდა ეს საკითხი, სამაგიეროდ სამოქალაქო საზოგადოებაზე აღაპარაკდნენ და გარკვეული საწყისი მოსაზრებები გაჩნდა სულ ახლახანს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ სამოქალაქო საზოგადოება და სამართლებრივი სახელმწიფო ლოგიკურად წარმოუდგენელია ერთმანეთის გარეშე.

სამოქალაქო საზოგადოების გენეზისს ძალიან შორეულ წარსულში მიეყავართ – არისტოტელეს “პოლიტიკა”, პლატონის “სახელმწიფო” და სხვა ძველი ბერძენი ფილოსოფოსების ნაშრომებში იყო მოხსენიებული სამოქალაქო საზოგადოების იდეა. ამან გაგრძელება ჰპოვა აღორძინების და განმანათლებლობის ეპოქებში, პობსის, ჯონ ლოკის, მონტესკიეს, ჟან-ჟაკ რუსოს შრომებში, მაგრამ თვითონ ტერმინი “სამოქალაქო საზოგადოება” რეალურად გამოყენებულ იქნა მხოლოდ მე-18 საუკუნეში. მანამდე ამის შესახებ სტრუქტურირებული კონცეფციები პრაქტიკულად არ არსებობდა, რადგან სახელმწიფო და საზოგადოება განიხილებოდა როგორც ერთი მთლიანი. მათი განცალკევება უბრალოდ არ შეიძლებოდა.

დროთა განმავლობაში საზოგადოებაში გაგებულ იქნა განსაკუთრებული სფერო ურთიერთობებისა, პირველ ყოვლისა, ქონებრივი, საბაზრო, ოჯახური, მორალური ურთიერთობები,

რომლებიც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ.

განვიხილოთ ასევე როგორ ხდებოდა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება სხვადასხვა სახელმწიფოში დროთა განმავლობაში

მეხიკო – 1985 წელს: იმ წელს, როდესაც საბჭოთა კავშირში დაიწყო ე.წ. გარდაქმნა, მრავალმილონიან მეხიკოში მოხდა საშინელი მიწისძვრა. მალე გაირკვა, რომ ათასობით კაცმა დაკარგა არამარტო კერა და საარსებო წყარო, არამედ იმედი სახელმწიფოს დაპირებისა: მექსიკის მთავრობა ველარ უწევდა საჭირო დახმარებას ათასობით გაჭირვებულს. მაშინ მექსიკის მოქალაქეებმა ნახეს ასეთი გამოსავალი: მეზობელი სახლების მაცხოვრებლები და თანაუბნელები შეიკრიბნენ, და – თავის თავზე აიღეს ყოველივე: ნანგრევებისაგან გაწმენდა, საკუთრების დაცვა, ნაგებობათა აღდგენა, გამწვანებაც კი. საერთო ძალებით მათ საკმაოდ მალევე აღადგინეს მშობლიური ქალაქი. მეტიც! აი, უკვე ოცდასუთ წელიწადზე მეტი გავიდა, ეს დროებითი კავშირები კი დღესაც შემორჩა, მათთან ერთად კი – ერთმანეთის ანგარიშის გაწევა, გატანა და დახმარება!.

საბჭოთა კავშირი – 1980-იანი წლების ბოლოს: მთელს აღმოსავლეთ ევროპაში, როგორც იტყვიან, მომწიფდა რევოლუციური სიტუაცია; საბჭოთა კავშირში ცნობილი მოვლენების ფონზე ყველა ხვდებოდა, რომ ძირეული რეფორმები აუცილებელი და გარდუვალია, მაგრამ მაგრამ არ არსებობდა რევოლუციური კლასი, თანაც ყველა არსებული პოლიტიკური კავშირი ან პარტია არსებითად “მონოპოლარული” იყო. ვიღას უნდა აეღო თავის თავზე რევოლუციის გატარება – რაც თავის დროზე ე.წ. პროლეტარებს ერგოთ ხელთ! აი, აქ გამოჩნდა მრავალი კლუბი და ასოციაცია, რომელთაგან უმეტესობას არანაირი კავშირი ჰქონდა არათუ რევოლუციასთან, საერთოდ პოლიტიკასთანაც კი. მაგალითად, ყოფილ ჩეხოსლოვაკიაში, თეატრ “ლატერნა მაგიკაში” თავი მოიყარეს რეჟისორებმა, მსახიობებმა და მათ თავყვანისმცემელთა ურიცხვმა ჯარმა. უნგრეთში ფრიად ძლიერი გამოდგა კათოლიკური ეკლესიის მრევლი, მწერალთა კავშირმაც დიდად გამოიჩინა თავი ერთი სიტყვით, ამ თითქოსდა “განყენებულმა” ძალებმა იმდენი მოახერხეს, რომ მასების მობილიზაცია ფრიად სწრაფად და

ეფექტურად განვითარდა, რევოლუციები კი უსისხლოდ ჩატარდა.

თითქმის ძალიან ბევრ ჩვენგანს დღესაც კარგად გვახსოვს ე.წ. “სამიზდატი” – გვიანდელი კომუნიზმის ეპოქაში ოპოზიციის ფრიად ეფექტური საშუალება. საბჭოთა კავშირის კანონმდებლობის თვალსაზრისით “სამიზდატი” პრაქტიკულად არალეგალური რამ იყო, დაკავებული “საეჭვო” ლიტერატურის ბეჭდვითა და გაერცვლებით. საკმაოდ ფართო მკითხველისათვის კი “სამიზდატი” იყო “ნათელი ბნელსა შინა”, მონატრებული თავისუფლების შიკრიკი

საქართველოში თანამედროვე ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ჩემოყალიბებაზე საუბარი მე-19 საუკუნის შუახანებიდან შეიძლება დავიწყოთ. ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახი უკვე შუა საუკუნეებიდან ქალაქ თბილისში ხელოსანთა და ვაჭართა გილდიების არსებობით უნდა დავიწყოთ, რომელთა ტრადიცია საბჭოთა სისტემის ჩამოყალიბებამდე მოქმედებდა და ხელს უწყობდა სამოქალაქო მონაწილეობის შედარებით მაღალ დონეს. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარება რომ ამგვარი საზოგადოებრივი ინსტიტუტების ტრადიციაზე ყოფილიყო დამყარებული, შეგვეძლო გვეთქვა, რომ ტიპოლოგიურად ის „სამოქალაქო საზოგადოების“ კლასიკურ, დასავლეთ-ევროპულ მოდელს უახლოვდება. მაგრამ აშკარაა, რომ ქალაქური ცხოვრების ტრადიცია საქართველოში საგრძნობლად ჩამორჩებოდა შესაბამის დასავლეთ-ევროპულ გამოცდილებას. როგორც არ უნდა შევაფასოთ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ამ ექტორის მნიშვნელობა, ის ნაკლებ რელევანტურია დღევანდელი ვითარებისთვის, რადგან არ ჩანს მისი რაიმე სახით გავლენა იმ საზოგადოებრივი ჯგუფების და ინსტიტუტების არსებობის და საქმიანობის წესზე, რომელთაც დღეს „სამოქალაქო საზოგადოების“ ცნებით მოვიხსენიებთ. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარება უფრო კლასიკური დასავლეთის გარეთ, განსაკუთრებით – აღმოსავლეთ ევროპაში არსებულ მოდელს უახლოვდება, სადაც სამოქალაქო საზოგადოების სახელით ცნობილ ინსტიტუტებში წამყვან როლს არა ეკონომიკური ინტერესების გარშემო გაერთიანებული ჯგუფები (ამქრები თუ გილდიები), არამედ ლიბერალური იდეების მატარებელ ადამიანთა ჯგუფები, „ინტელიგენცია“ თუ „ინტელექტუალები“ თამაშობენ.

ამ მოდელის შესაბამისად, საქართველოში ლიბერალური იდეების, მასთან ერთად კი სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთა გავრცელებას ძირითადი ბიძგი მისცა „თერგდალეულების“, ანუ რუსეთის უნივერსიტეტებში განათლების მიღების შემდეგ საქართველოში დაბრუნებული ახალგაზრდების მოღვაწეობამ. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის ფიგურა. სწორედ ამ პერიოდში ჩნდება საქართველოში პრესა, როგორც საზოგადოებაში არსებული საჭირობორტო პრობლემების განხილვის ფორუმი. ჩნდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიც, რომელთაგან ნიშანდობლივია, მაგალითად, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. თუ პირველი სამოქალაქო გაერთიანებები თავისი საქმიანობის წესით და მიზნებით ძირითადად კულტურულ-საგანმანათლებლო იყო, მე-19 საუკუნის ბოლოდან პოლიტიკური ორგანიზაციების განვითარებაც იწყება.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ეს პერიოდი 1918-21 წლებში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობით მთავრდება. ამ სახელმწიფომ სამ წელზე ნაკლებ ხანს იარსება და მისი ძირითადი საზრუნავი თვითგადარჩენა იყო, მაგრამ პოლიტიკური ცხოვრება აქ დემოკრატიულ საწყისებზე იყო დამყარებული, რაც შეუძლებელი იქნებოდა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების გარკვეული დონის გარეშე. საბოლოო ანგარიშით 18-21 წლების საქართველო გარეშე ძალის მოქმედებით დაეცა და არა შინაგანი წინააღმდეგობის ან სოციალური კატაკლიზმების გამო რაც გარკვეულწილად ამჟღავნებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პოტენციალის არსებობას. უფრო მეტიც, რუსეთის იმპერიის და დამოუკიდებლობის პერიოდში გაჩენილი სამოქალაქო ინსტიტუტები შემდგომ ბოლშევიკურ პერიოდშიც არსებობენ და მიუხედავად წითელი ტერორისა თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტების პარტიული დაქვემდებარების მცდელობისა გარკვეული თვალსაზრისით მაინც ახერხებენ ქართულ საზოგადოებაში სამოქალაქო ღირებულებების დაცვას. მგვარ ინსტიტუტებად შეგვიძლია მოვიაზროთ მწერალთა კავშირი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თვით ქართული ეკლესიაც კი გარკვეული თვალსაზრისით.

საქართველოს ბოლოდროინდელ ისტორიაზე თვალის გადავლებით უამრავ საერთო და სპეციფიკურ პრობლემას აღმოვაჩინოთ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების,

სამოქალაქო ერის ჩამოყალიბების კუთხით, მაგრამ მაინც იქმნება განცდა, რომ ცნობილი გამონათქვამის საწინააღმდეგოდ ქართული საზოგადოება გაცილებით მაღლა დგას ქართულ ხელისუფლებაზე, ამის თვალსაჩინო მაგალითებად შეგვიძლია რამდენიმე გაეიხსენოთ: მოქალაქეთა თუ მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიების მიმართ საზოგადოება მთლიანობაში უფრო ლოიალურია ვიდრე ხელისუფლება; საკუთრების უფლებასაც ხელისუფლება უფრო ხშირად არღვევს ვიდრე ოპოზიცია ან რიგითი მოქალაქეები; საპროტესტო აქციების დროს არ ხდება სხვისი ქონების ან ღირსების ხელყოფა დემონსტრანტების (მათ შორის რადიკალურად განწყობილების) მიერ, თუმცა ხდება სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომელთა მიერ და ზოგჯერ ადგილი გვქვს სრულიად არარაციონალურ აგრესიას სახელისუფლებო ძალოვანი ინსტიტუტების მხრიდან; ამგვარის გახსენება მრავლად შეილება და ეს ყოველივე მეტყველებს რომ ქართული საზოგადოების განვითარებას რეჟიმი უფრო აფერხებს ვიდრე აჩქარებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ითქვას რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას პერსპექტივა აქვს თუ-კი ხელისუფლება არ ეცდება ჩაიყენოს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები თავს სამსახურში, ან არ ეცდება მათ კონტროლს. საზოგადოება ხელისუფლების მხრიდან ნაკლები კონტროლისა და მეტი ყურადღების პირობებში კი შეძლება საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პროცესის ხელშეწყობას და დემოკრატიული ახელმწიფოს მშენებლობაში წვლილის შეტანას. აქვე შეიძლება იმის გახსენებაც, რომ შევარდნის „ზარმაცი“ რეჟიმის პირობებში სამოქალაქო საზოგადოება მართლაც ვითარდებოდა მაგრამ საზოგადოების ტრანსფორმაციას აფერხებდა ხელისუფლების მხრიდან საზოგადოების იგნორირება რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ვარდების რევოლუცია, ვინაიდან საზოგადოება ვითარდებოდა და ითხოვდა გარდაქმნებს, ხოლო ხელისუფლებას ეს ან არ სურდა ან არ შეეძლო. ვარდების რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა დაჯგუფებამ კარგად იცოდა საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა და ყოველმხრივ ეცადა საზოგადოება მთლიანად და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები თავის სამსახურში ყოლოდა, ამ შემთხვევაშიც ხელისუფლება არ უსმენდა საზოგადოებას მაგრამ ჯიბის ინსტიტუტების

მეშვეობით ცდილობდა საზოგადოებრივი აზრის სათავესოდ მომართვას და საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის ილუზიის შექმნას. დღეს საზოგადოებაში თანდათან იკრებს ძალას განცდა საკუთარი პასუხისმგებლობისა და ხელისუფლებაზე აგრესიული კონტროლის აუცილებლობისა რაც იძლევა იმედს, რომ საზოგადოება შეძლებს ხელისუფლების კონტროლსაც და მისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებასაც.

Литература

References:

1. nakaSiZe g. (2012, 18 noemberi), „samoqalaqo sazogadoeba: misi miznebi da misi mtrebi“.
<http://24saati.ge/index.php/category/society/2012-11-18/33815.html>
(10.11.2013)

Khatia Markozasvili

Value and Prospects of Civil Society

Summary

Civil society is the subject of a comprehensive study, and although the word is often used, it is difficult to say how adequately it is perceived in society.

Also not entirely clear its role and function in society or state. Seems particularly difficult debate about its roots and development prospects in Georgia.

Given the fact that through the movement of the sixties educators Georgian, Georgian tastes of ideas and values, including civil society, born in the bosom of European thought, and given the history of Georgian dissidents and experience obtained over the years of independence can be expressed cautious optimism that there will be continue the process of formation and institutionalization of civil society.

Keywords: Civil society; government, Transformation of Rose Revolution

Reviewer: Professor Otar Bagaturia, Georgian Technical University

Хатиа Маркозашвили

Значение и перспективы гражданского общества

Резюме

Гражданское общество представляет собой предмет комплексного изучения, и, хотя само слово часто употребляется, трудно сказать, насколько адекватно оно воспринимается в обществе.

Также не до конца ясна ее роль и функции в обществе или государстве.

Особенно сложной представляется дискуссия о ее корнях и перспективах развития в Грузии.

Учитывая тот факт, что посредством движения грузинских просветителей шестидесятников, грузинское общество вкусило идеи и ценности, в том числе и гражданского общества, рожденные в лоне европейской мысли, а также учитывая историю грузинского диссидентства и опыта полученного за годы независимости, можно выразить осторожный оптимизм, что будет продолжаться процесс формирования и институционализации гражданского общества.

Ключевые слова: Гражданское общество, правительство, Трансформация Революции Роз.

Рецензент: Профессор Отар Багатурия, Грузинский технический университет.

პ რ ა ქ ტ ი კ ა

ბაღრი ცხადაძე ნეკრესის
ეტიმოლოგიისათვის

ნეკრესი ერთ-ერთი უძველესი ნაქალაქარია საქართველოში. ღირსსაცნობია, რომ ნეკრესის თავდაპირველი სახელდება და მნიშვნელობა ზემომოყვანილ „ქართლის ცხოვრებისეულ“ ტექსტებშია გაცხადებული. ესაა ეპითეტური კომპოზიტი ნელქარი (<- ნელი ქარი): „კახეთს ქალაქს ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“. ამრიგად, ნეკრესის ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური წარმომავლობა ასეთია: ნელი ქარი (მსაზღვრელ-საზღვრულიანი შესიტყვება: ზედსართავი + არსებითი სახელი) ->ნელქარი (კომპოზიტი) -> *ნელქარესი (შედარებით-აღმატებითი ხარისხიანი ფორმა) -> *ნელქრესი -> ნეკრესი.

საკვანძო სიტყვები: ნეკრესი, ფარნავაზ მეფე, ნელქარ, „ქართლის ცხოვრება“, ჯუანშერი, ლეონტი მროველი.

ნეკრესი ერთ-ერთი უძველესი ნაქალაქარია საქართველოში. იგი ამჟამინდელ ყვარელს 8 კილომეტრით შორავს დაცნობილია უძველესი არქიტექტურული ანსამბლით. ნეკრესი, გეოგრაფიულად, მოქცეულია დღევანდელ ყვარელსა და სოფელ შილდას შორის, მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე. გასაოცარია ამ ყოფილი ქალაქის ადგილმდებარეობა – იგი არა მარტო ტურისტის თვალს, არამედ ისტორიული წარსულის გამო გასხვავებული დარგის მეცნიერებსაც იტაცებს. დღეს ნეკრესისკენ მიმავალი გზა ყვარლიდან იწყება: ნეკრესში ასვლამდე გზად შემოგვეყრება ჯერ ნახნავები, შემდგომ უამრავი მინდორი, ბოლოს – ჭალა. ჭალის შემდგომ კი მიხვეულ-მოხვეული გზა ნეკრესისკენ აგვადებინებს გეზს; და კიდევ: ნეკრესის გარემო მრავალსაუკუნოვანი ფოთლოვანი ტყითაა დაფარული [1, 3].

მემატეიანის გადმოცემით, ქალაქი ნეკრესი ქრისტიანობამდელია, წარმართობის ხანისა. სამწუხაროდ, მისი ზუსტად ქრონოლოგიური განსაზღვრა ჭირს. ლეონტი მროველის ცნობით, მეფე ფარნავაზმა: „უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება და მან აღაშენა ციხე ზადენი და შექმნა კერპი სახელით ზადენ და ამართა ზადენს და იწყო შენებად კახეთს

ქალაქს – ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი” [2,29]. ჩვენი აზრით, თუ ამ ცნობას ვერწმუნებით, ფარნავაზ მეფე ნეკრესის დამაარსებელ-განმაახლებლადაც უნდა ვცნოთ, რომლის „შემატებაში” წვლილი მიუძღვით საქართველოს შემდგომინდელ სხვა ქართველ მეფეებს: ფარნავაზომ (მირიან მეფის ძეს ჩვ. წ. აღ-მდე რიგით მეოთხე მეფე ნებროთიანთა (155-140 წწ. ვახუშტისეული ქრონოლოგიით: 112-93 წწ.) მომდევნო პერიოდშიც ჩვენს მეფეებს ამ ქალაქის განაშენიანება-წარმატებაში კვლავ გამოუღიათ ხელი. მაგალითად, არშაკ მეფეს, რომელიც იყო „მეფე დედით არშაკუნიანი და მამით ნებროთიანი და ფარნავაზიანი. მან არშაკ განაშენა ნელქარ ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი და ჰმატა სიმაგრესა უფლისციხისასა” [2, 33].

ამრიგად, ძველი ქართული ისტორიული ცნობების მიხედვითაც, ცნაურდება ქალაქ ნეკრესის ქრისტიანობამდებლობა. იგივე „ქართლის ცხოვრება” გვაუწყებს, რომ მირიან მეფის მამამძუმემ, მირვანოსმა: „ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმატეს ყოველთასა მოამტკიცნა ზღუდენი ნეკრესისა ქალაქისანი” [2,65]. ქალაქ ნეკრესის შესახებ ჯუანშერიც აღნიშნავს: „და ესხნეს ვახტანგს ბერძნისა ცოლისაგან სამ ოცენ ორ ასულ; ხოლო ძესა მისსა პირმშოსა პირველისა ცოლისასა, დაჩის, მისცა ქალაქი ჭერემისა და ნეკრესისა და ქალაქი კამბეხოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი” [2,199]. ლეონტი მროველიც დასტურ ამბობს:

„კახეთს ქალაქს ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესიო”. ოცენტ სიტყვებით, კახოსის სამფლობელო ტყე-ტბამდე და გულგულამდე ყოფილა, ნეკრესი კი მათგან კარგა მოშორებით, ჩრდილო-აღმოსავლეთით [3,41]. ნეკრესის აღმოსავლეთით – „ყვარელი”, სამხრეთ-აღმოსავლეთით „გავაზი” [2,716]. ამ დაბებს შორის იყო მოქცეული იმდროინდელი ნეკრესი. ქრისტიანობის ხანაში ნეკრესი არა მარტო სარწმუნოებრივად თვალსაჩინო ადგილია, არამედ პოლიტიკურ-სარწმუნოებრივადაც. სწორედ აქედან ხდებოდა ჩრდილოეთით მთიელ კავკასიელთა გაქრისტიანება – ქრისტეს რჯულის გავრცელება ლეკ-დილოელებში. ნეკრესმა, როგორც ქალაქმა და ეპარქიამ, ნეკრესელმა სამღვდელო პირებმა თავი დაამახსოვრეს ქვეყანას: ეპისკოპოს აბიბოს ნეკრესელით, რომელიც თავი გასწირა ქრისტიანობის დასაცავად ქართლში შემოსეული ოცენტი ცეცხლთაყვანისმცემლების წინაშე (VI საუკუნის მეორე ნახევარი) [4,246-251], ნიკოლოზ ნეკრესელით, ივანე ჯორჯაძით,

დოსითეოზ ჩერქეზიშივლით (ნეკრესელით), ამბროსი მიქაძით (ნეკრესელით); ნეკრესის მიტროპოლიტი გახლდათ იოანე ენისელთ მოურავის შვილი, ენისელთ მოურავის გივი ჯორჯაძის ოცენ სხვ. ნეკრესის ეპარქია გაუქმდა 1811 წელს საქართველოში „ზედამდგომელ“ რუსთა მმართველობის დროს. ნეკრესი იმადროულად წიგნიერებისა და მწიგნობრობის კერაც იყო. აქ არ შეწყვეტილა მწიგნობრული ღვაწიერება. მაგ., 1802 წელს ნეკრესელმა დიაკონმა მოსემ გადაწერა ამბროსის „სწავლა გამოკრებული“ (№ 447) [5,266]. ეს ტრადიცია ძველთაძველია. მემატინის ცნობით, მრავალი წიგნი გადაბუგა ლანგ-თემურმა (თუნდაც ორბელიანთა ძვირფასი საწიგნე), მას მოჰყვა სპარსელების თარეში, ლეკიანობა (მაგ., 1746 წ.).

ნეკრესი საქართველოში არსებულ საკულტო ძველთაგან იმით გამოირჩა, რომ იქ დღემდე მსხვერპლად ღორსაც წირავენ (რომელსაც ადრე ღომ-ტახად მოიხსენიებდნენ), რაც სხვადასხვაგვარად (ლეგენდებითაც) არის ახნილი, მაგრამ ძირითადი ისაა, რომ ის სპარსელების ექსპანსიისა და მითრიაზმის კულტს (ცეცხლთაყვანისმცემლობას) უკავშირდება.

დაისმისკითხვა: როგორია ამ ტოპონიმის ეტიმოლოგია? რასუნდა ნიშნავდეს ეს ტოპონიმი?

ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, ნეკრესი „მეგუთნე ჯეილი“ კაცი ყოფილა, ესე იგი ნეკრესი ანთროპონიმად (აღამიანის საკუთარ სახელად) გვევლინება. იმავე თქმულებით, შებრძოლებისას ნეკრესს ნასროლი ისარი ნეკრესის ცოლის მარუშანის მომტაცებელ აბაშისთვის ნეკში მოურტყამს” [1,35] თითქოს ამიტომ უწოდებიათ ნეკრესი. სინამდვილეში, ორივე შემთხვევაში, ეს ახსნა ვულგარულია და მეცნიერულ ეტიმოლოგიურ სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო.

ღირსსაცნობია, რომ ნეკრესის თავდაპირველი სახელდება და მნიშვნელობა ზემომოყვანილ „ქართლის ცხოვრებისეულ“ ტექსტებშია გაცხადებული. ესაა ეპითეტური კომპოზიტი ნელქარი (<–ნელი ქარი): „კახეთს ქალაქს ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“. ამრიგად, ჩვენი ახსნით, ნეკრესის ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური წარმომავლობა ასეთია: ნელი ქარი (მსაზღვრელ-საზღვრულიანი შესიტყვება: ზედსართავი + არსებითი სახელი) → ნელქარი (კომპოზიტი) → *ნელქარესი (შედარებით-აღმატებითი ხარისხიანი ფორმა) → *ნელქრესი → ნეკრესი; როგორც გაირკვა, ნეკრესი ამ ადგილს ნელქარიან ანუ „სასიამოვნო ნელი ქარის“ (იგივე სიო) გამო შერქმევია

(ადგილი, სადაც ნელი ქარი ქრის), რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი წინაპრებს ამ ტოპონიმისთვის ეს ეპითეტი კლიმატური და ადგილმდებარეობის რაგვარობით (მოტივაციით) უწოდებიათ. ანალოგიური სახელდებისათვის შდრ. ტაბახმელა, ხმელი ანუ მშრალი ტბა”, საქარა (=ქარიანი ადგილი, სოფელი შუაიმერეთში ზესტაფონის რ-ნი; ასევე შდრ. გვარსახელები ქაროსანიძე, ქარცივაძე, ქარაია).

PS. ქართულ ენაში დამკვიდრებულია სიტყვათშეხამება – ტერმინადქცეული ვარიაციული გამოთქმა ნეკრესის ქარი (//→ ნიკრისის ქარი). მაგ. „კაცია, ადამიანში” ერთგან ილია ჭავჭავაძე წერს: „ღობესთან, ერთის ფურცლის ხის სიახლოვეს, მოჩანდა ძველი ჩაღური, დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზედ წამოდებული და წამოხრილი, თითქო გრილოში წამოწოლას აპირებსო, მაგრამ ბებერსავით ნეკრესის ქარის ტკივილებს უეცრად ისე წამოხრილი და დაღრეჯილი შეუკავებიათო” [6, 34]. ეს უკანასკნელი რა მიმართებაშია ზემოვანხილულ ნეკრეს ტოპოლექსემასთან? ქველში ეს ფრაზეოლოგიური შესიტყვება ორი მნიშვნელობისაა: 1. ნიკრისის ქარები სახსრებისა და ქსოვილების ქრონიკული დაავადება, „ავი ქარი“ (საბა). [ნერობს] არც-კი ერცხვინებათ, სხვამ რომ გაუგოთ, რომ ნიკრისის ქარებით არიან დაავადებულნი (თ. სახოკ. თარგმ.). 2. კუთხ. (იმერ. რაჭ.) „პატარა, გამხდარი ნიკაპი“ (ვ. ბელ.) [7]. პირველ შემთხვევაში იგი გადატანითი მნიშვნელობისაა – მიმსგავსებულია ნეკრესის ქარის ანუ ნელი ქარისავით მსგავს ტკივილს, რომელიც ადამიანს მუხლებში ტეხს. იგივეა, რაც რუს. *подарпа* [8,319]. ქართული ენის დასავლურ კიდეებში, კერძოდ, იმერულსა და რაჭულში ნიკრისი იხმარება წყველის ფორმულაში („გაგიხმა ნიკრისი“), რაც ნიშნავს „პატარა და გამხდარ ნიკაპს“ [9, 32]. ასე რომ, ყველა შემთხვევაში ნიკრის სიტყვას შეუნარჩუნებია „პატარისა” და „ნელი (პატარა, სუსტი) ქარის” მნიშვნელობა.

ლიტერატურა

References:

1. beJaniSvili n. nekresi da nekreselebi, gamomcemloba „gulani“, Tb., 1993.
2. qarTlis cxovreba. t. I. gamosca s. *yauxCiSvilma.*, Tb., 1995.
3. javaxiSvili iv. qarTveli eris istoria. t. II. Tb.,1983
4. moqalaqoba; da wameba; wmidisa abibos nekresel ebiskoposisa; ix.qarTuli mwerloba. I. Tb., 1987.

5. Иоселиани Пл. Описание древностей города Тифлиса. Тб., 1886
6. WavWavaZe i. TxzulebaTa sruli krebuli oc tomad. t. II. Тб., 1988.
7. qarTuli enis ganmartebiTi leqsikoni (rvatomeuli), arn. Ciqobavas saerTo redaqqiT. t. 5, Тб., 1958.
8. CubinaSvili n. qarTuli leqsikoni rusuli TargmaniTurT. a. Rlontis redaqqiiTa da gamokvleviT, Тб., 1951.
9. beriZe v. sityvis kona imerul da raWul TqmaTa, sankt-peterburgi, 1912.

Badri Tskhadadze **To the Etymology of Nekresi**

Summary

Nekresi is one of the ancient settlements in Georgia. It is situated at the distance of 8 kilometers from the present day city Qvareli and is known for its ancient architectural ensemble. The ancient settlement Nekresi is located on the left bank of the river Alazani, between the modern city Qvareli and the village Shilda.

Based on the chronicler's records the town **Nekresi** was a pre-Christian town of the period of paganism. Regrettably it is difficult to determine its age with chronological accuracy. Based on the records of Leonti Mroveli king Parnavaz:—was building more and more strongholds and towns, and he erected the fortress Zadeni and created the idol by name Zaden and placed it in Zadeni, and set about building in Kakheti the town Nelkarisi, which is Nekresi.|| If we believe this record, king Parnavaz is a founder-renovator of Nekresi, with the irsharein –adding|| to it of other Georgian kings of subsequent periods: Parnajomi (the son of king Mirian – the fourth king of Nebrotiani dynasty- 155-140 B.C; by Vakhushthi's chronology –112-93 B.C). Our kings of subsequent periods also contributed to the building and success of this town. King Arshak, e.g., who was –Arshakuniani on his mother's side and Nebrotiani and Parnavaziani on his father's side. He, Arshak, in Kakheti decorated the town **Nelkari**, which is Nekresi, and additionally strengthened Uplistsikhe.||

Thus from the ancient Georgian historical records the pre-Christian origin of the town Nekresi becomes known. –The Georgian Chronicles|| (–The Life of Kartli|| –Kartlis Tskhovreba||) also informs that king Mirian's educator Mirvanos: –has fortified Kartli everywhere and especially strengthened the enclosures of town Nekresi||. As indicated by Juansher with reference to the town Nekresi: –And three sons and two daughters were born to Vakhtang from his Greek wife; and to his firstborn son Dachi from the first wife he bestowed the towns Cheremi and Nekresi, and the town Kambechovani, which is Khornabuji.|| Leonti Mroveli also confirms: –In

Kakheti, in the town Nelkarisi, which is Nekresi]]. In the period of Christianity Nekresi was a place renowned ocent ligiously and politically. From there the conversion to Christianity took place of the highland Caucasians in the north – the propagation of Christian faith among the Lezghins-Didoeli... Nekresi as the town and eparchy, and Nekresi clergymen left memories behind: the Nekresi Eparchy was abolished during the Russian rule (1811).

At the same time **Nekresi** was the center of literacy and literature.

It should be noted that the initial name and meaning of **Nekresi** is found in the above mentioned texts from –The Georgian Chronicles]] (–The Life of Kartli,]] –Kartlis Tskhovreba]]. This is the epithet composite **nelkari** (<-neli kari) (literally – slow wind) ნელქარი(<- ნელიქარი): –In Kakheti, in the town Nelkaresi, which is Nekresi]]. Hence the linguistic-etymological origin of Nekresi is as follows: **neli kari** ნელიქარი (a word combination with determinant-determinate: adjective + noun) > **nelkari** ნელქარი (composite) > ***nelkaresi** ნელქარესი (a form with comparative-superlative degree) > ***nelkresi** ნელქრესი > **nekresi** ნეკრესი.

Keywords: Nekresi, king Parnavaz, Nelkari, –Kartlis Tskhovreba]], Juansher, Leonti Mroveli.

Reviewer: Professor Nana Khazaradze, Academician of Georgian National Academy of Sciences, Doctor of Historical Sceiences, Georgian Technical University

Бадри Цхададзе
К этимологии Некреси

Резюме

Некреси – одно из дневних городищ в Грузии. Оно находится в 8 километрах от нынешнего Кварели и известно своим древнейшим архитектурным ансамблем. Городище Некреси расположено на левом берегу реки Алазани, между нынешним Кварели и селом Шилда.

По сведениям летописца город **Некреси** – дохристианский город периода язычества. К сожалению, хронологически точноопределить его возраст сложно. По сведению Леонти Мровели царь Парнаваз: «строил все больше крепостей и городов, и он возвел крепость Задени и создал идола по имени Заден, и установил его в Задени, и приступил в Кахети к строительству города Нелкариси, который есть Некреси». Если верить этому сведению, царь Парнаваз является основателем-обновителем Некреси, своя доля в «добавлении» к которому принадлежит и другим грузинским царям последующих времен:

Парнаджомი (сыну царя Мириана –четвертому по порядку царю из династии Небртиани – 155-140 гг. до н.э.;по хронологии Вахушти – 112-93 гг.). Впоследствии периодынаши цари такжеспособствовали строительству и успехам этого города. Например, царь Аршак, который был «по матери Аршакунiani, а по отцу Небртиани и Парнавазиани. Он,Аршак, в Кахетиукрасил город **Нелкари**, который есть Некреси, и еще более укрепил Уплисцихе».

Таким образом, на основании древних грузинских исторических сведений становится известно о дохристианском происхождении города Некреси. «Грузинские хроники» («Жизнь Картли»,«Картлис цховреба») сообщают также, что воспитатель царя Мириана Мирванос: «повсеместно укрепил Картли и в особенности укрепил ограждения города Некреси». Как передает Джуаншер по поводу города Некреси: «И родились у Вахтанга от жены гречанки три сына и две дочери; а сыну своему первородному Дачити первой жены он подарил город Черemi и Некреси, и город Камбечовани, который есть Хорнабуджи». Леонти Мровели подтверждаеттакже: «В Кахети,в городе Нелкариси, который есть Некреси». В период христианства Некреси – место, известное только в религиозном, но и в политическом отношении. Именно отсюда происходило обращение в христианство горских кавказцев на севере – распространение христианской веры среди лезгин-дидоэли... Некреси, как город и епархия, некресцы – духовные лица оставили по себепамять: епархия Некреси была упразднена во времена российского правления(1811 г.).

В то же время **Некресия**являлся очагом грамотности и литературы.

Следует отметить, что первоначальное наименование и значение **Некреси** встречается в приведенных выше текстах из «Грузинских хроник» («Жизнь Картли»,«Картлис цховреба»). Это эпитетный композит **нелкари** (<- нели кари) (букв. медленный ветер) ნელქარი(<- ნელიქარი): „В Кахети,в городе Нелкареси, который есть Некреси». Следовательно, лингвистико-этимологическое происхождение Некреси таково: **нели кари** ნელიქარი (словосочетание с определителем-определяемым: прилагательное + существительное) _>**нелкари** ნელქარი(композит) _> ***нелкареси** ნელქარესი(форма со сравнительно-превосходной степенью) _> ***нелкреси** ნელქრესი _>**некреси** ნეკრესი.

Ключевые слова: Некреси, царь Парнаваз, нелкари, «Картлис цховреба», Джуаншер, Леонти Мровели.

